ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 10 მარტი, 2011 №58 (5439) ფასი: 30 თეთრი

## ჯანდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებს აგინა
გვ.2



# სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეობას აპირებს
გვ.3

### სექტემბერში შეიძლება არჩევნები დაინიშნოს



## ხელისუფლებამ ოპოზიციას თბილისი დაუთმო
გვ.2

დედაქალაქში არჩევნები ბიომეტრიული პასპორტებით ჩატარდება

## ხელისუფლებამ 700 ათასი მკვდარი სული უკვე დაიმატა
გვ.4



## თემურ შაშიაშვილს ემუქრებიან



რა წერილი მისწერა „თეთრების“ ლიდერმა ამერიკის ელჩს
გვ.5



## ხელისუფლება პირადობის ყალბ მოწმობებს ამზადებს
გვ.3



## აპრილიდან ფასები ისევ მოიმატებს
გვ.6



## ვაუჩერებით ხალხს ვერ შეაჩერებენ
გვ.3



## პატიმარი ქალები შიმშილობას აპირებენ
გვ.5

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**7** პარლამენტში მინისტრების კვირეული გაიმართება

**2** მოსკოვში, ფსბ-ს აკადემიასთან, აფეთქება მოხდა

**10** მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოს ხარჯზე არ მოხდება

**9** ფილიპო ინძაგი ევროთასების გოლების რეკორდს უმიზნებს

# ხელისუფლებამ ოპოზიციას თბილისი დაუთმო

## დედაქალაქში არჩევნები ბიომეტრიული პასპორტებით ჩატარდება

ნათია ხურცილავა

ხელისუფლებამ აღებული ტაიმ-აუტის შემდეგ სამი შეთავაზება გააკეთა. საარჩევნო გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ცესკოში გუშინ განახლდა.

ხელისუფლებამ, შეიძლება ითქვას, თბილისი დათმო. თუმცა, ცესკოში რვა ოპოზიციური პარტია იმ განწყობით შეიკრიბა, რომ ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტის დათმობა მოუწევს.

პავლე კუბლაშვილის მიერ გაჟღერებული სამი წინადადება ასეთია: ამომრჩევლის ბიომეტრიული მონაცემებით საარჩევნო სიების შედგენა მხოლოდ თბილისში, რაც საპილოტე პროგრამა იქნება, რომელიც იმ შემთხვევაში განხორციელდება თუ დონორი ორგანიზაციების მიერ იქნება დაფინანსებული.

ხელისუფლების შეთავაზებით, საქართველოს ნებისმიერ უპარტიო მოქალაქეს შეეძლება კანდიდატად დარეგისტრირება და არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მესამე წინადადება არაგანზრახ დანაშაულში მსჯავრდებულებს ეხებათ, რომლებსაც შეეძლებათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ოპოზიციამ ხელისუფლებას 9 მოთხოვნა წაუყენა. უმთავრესი მოთხოვნა არჩევნების ბიომეტრიული მონაცემებით ჩატარებას ეხებოდა და საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს.

მთავარი კითხვა არჩევნების ბიომეტრიული მონაცემებით ჩატარების საკითხს ეხება. წავა თუ არა ხელისუფლება მთელ ტერიტორიაზე არჩევნების ბიომეტრიული მონაცემებით ჩატარებაზე? რას დათანხმდება ოპოზიცია და რა საკითხი იქნება ოპოზიციისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი, ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა.

რვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ხელისუფლებაში აღნიშნულ საკითხზე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და უმრავლესობის შიგნით აზრთა სხვადასხვაობაა.

**ირაკლი მელაშვილი, ექსპერტი:**

— ძალიან სერიოზული შემოთავაზებებია, უფრო სერიოზულია ის, რომ ამ შემოთავაზებების შესახებ თქვენგან, ჟურნალისტებისგან ვიგებთ, რადგან როდესაც ჩვენ წინადადებებს ვაყენებდით, ყოველთვის წინასწარ იცოდნენ ამის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ცოტა არასერიოზულ მიდგომაზე მიუთითებს, როდესაც ამ წინადადებებს პირდაპირ ხელისუფლებისგან არ ვიგებთ. რაც შეეხება ბიომეტრიას, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ აუცილებელია და ნაბიჯი გადმოდგეს. ახლა მაქვს ერთადერთი კითხვა: თუ თბილისში შეიძლება, რატომ არ შეიძლება რეგიონებში? ესენი ხომ ის ხალხია, რომლებიც ყოველთვის ამბობდნენ, რომ ოპოზიცია მხოლოდ თბილისზე ზრუნავსო. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული წინადადებები ვაჭრობის დასაწყისია მათი მხრიდან. რა თქმა უნდა, ვაჭრობა ზედა დონიდან დაიწყეს, რომ იმ პოზიციებს დაშორებოდნენ, რაც საბოლოო ჯამში იმისთვის სჭირდებათ, რომ თქვან: ჩვენ ამდენი დავთმეთ, მაგრამ რეალური წინადადებები მოლაპარაკებების პროცესში გამოჩნდება. ვფიქრობ, სწორედ დღეს იწყება სერიოზული პროცესი, როდესაც პოზიციების ჩამოყალიბება დაიწყება. რაც შეეხება დანარჩენ ორ საკითხს, არ ვიცი ვისი ინიციატივა არის, მსჯავრდებულებზე საერთოდ არ გვქონია არც ერთ ოპოზიციურ პარტიას და არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას მოთხოვნა. ჯერჯერობით, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი რაზეა საუბარი. არავის არ გვქონდა იმედი, რომ პირველ დღეს ხელისუფლება ჩვენს ყველა მოთხოვნას დათანხმდებოდა, ეს აბსურდია თუ ამის მოლოდინი ვინმეს ჰქონდა.

**მამუკა კაციტაძე, ახალი მემარჯვენეების წევრი:**

— სამი კვირაა ხელისუფლებამ ტაიმ-აუტი აიღო იმისთვის, რომ ჩვენს წინადადებებზე საკუთარი პოზიციები წარმოედგინა. ის წინადადებები, რაც ხელისუფლებისგან არის გახმოვანებული, მხოლოდ იმას მაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება ვერ ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, სერიოზული პრობლემა აქვთ შიგნით, პარტიაში, რადგან არაფერს არ ამბობენ იმ 9 საკითხზე, რომლის პრეზენტაციაც ჩვენ გვქონდა. სამი წინადადებიდან ორი საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნას ეხება. ეს ის წინადადებები არ არის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. რაც შეეხება იმას, რომ თბილისში შეიძლება ბიომეტრიის გაკეთება და დანარჩენ საქართველოში არა, მაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებისთვის საქართველო თბილისია და დანარჩენი საქართველო საქართველო არ არის. ეს გაყოფა ჩემთვის გაუგებარია. ეს ერთ რამეზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებას ბელელი აქვს რეგიონებში და შიშები აქვს დედაქალაქში ან პირიქით. ყოველ შემთხვევაში, ხელოვნური გაყოფა აბსოლუტურად აუხსნელია ჩემთვის. მაინტერესებს, რას გვეტყვის ხელისუფლება იმ 9 საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც პასუხსაც თვეებია ველოდებით, განსაკუთრებით ბოლო სამი კვირის განმავლობაში, როდესაც ტაიმ-აუტი აიღეს და როგორც ბავშვებს რჩებათ საშემოდგომო, მოსამზადებლად წავიდნენ, მაგრამ ისევ მოუმზადებლები მოვიდნენ. ალბათ უკეთესად მომზადება მოუწევთ. თუ პასუხისმგებლობას იხსნის ხელისუფლება, ერთი მხრივ, ეს კარგია, ნელ-ნელა მიდის ხელისუფლებიდან, მაგრამ არ შეიძლება დონორების იმედად ხელისუფლება იყოს. იმის თქმა, რომ ეს ფული ოპოზიციამ მოიძიოს, პირდაპირ გეტყვით, ეს ხელისუფლების უპასუხისმგებლობის მორიგი დემონსტრირებაა. ხელისუფლება ისევ გაჭედილია და სერიოზული კონფლიქტებია ნაციონალურ მოძრაობაში, ერთმანეთში ვერ თანხმდებიან და რაღაც წინადადებებით უნდათ პროცესის გადაგორება. ჩვენ ქართველი საზოგადოების, საერთაშორისო საზოგადოების იმედით ვაგრძელებთ ამ მაგიდასთან მუშაობას.

**ლევან ვეფხვაძე, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრი:**

— ხელისუფლების შემოთავაზება არის აღიარება, რომ სერიოზული პრობლემა არის საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, რომ სისტემა არ ვარგა. ამის გაცნობიერება კარგია, მაგრამ ცუდია, რომ მათი შემოთავაზება სრულად არ უზრუნველყოფს იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომელიც გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი პოზიცია საწყისია და ამის შემდეგ შეგვეძლება საერთო ნიშნულამდე მისვლა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პილოტირება ბიომეტრიული მონაცემების შეიძლება თელავში გავაკეთოთ, რადგან შემოდგომაზე შუალედური არჩევნებია. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა უზრუნველვყოთ, რომ ბიომეტრიული სისტემით ჩატარდეს. სამჯერ ნაკლები თანხაა საჭირო იმაზე, რომელიც ხელისუფლებამ დაასახელა.

**დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:**

— ფაქტია, რომ ხელისუფლებას ოპოზიციურ რვიანთან შეთანხმების გარეშე არჩევნების ჩატარება არ შეუძლია. ეს აქვს მას გაცნობიერებული. ძალიან ნელი ნაბიჯებით ირჯებიან, რაც ცუდია. თუმცა, პრობლემების აღიარება ხდება მათთვის მტკივნეულად, მაგრამ სწორი მიმართულებით. რვა ოპოზიციური პარტიისთვის აუცილებელია ყველა მნიშვნელოვან საკითხზე დასაბუთებულ და შეთანხმებულ პოზიციებამდე მისვლა. აშკარაა პრობლემები აღიარებული აქვთ. აშკარაა, რომ ხელისუფლებაში ბევრი ხვდება, რვა ოპოზიციურ პარტიასთან შეთანხმების გარეშე არჩევნებს ვერ ჩაატარებენ და თუ ჩატარდება, იმას არჩევნები არ შეიძლება ეწოდოს. ჩვენ არ ვაპირებთ ხელისუფლების ანკესს წამოვეგოთ და ამ მანევრების გამო მათ მივცეთ საშუალება, რომ ჩვენზე გადმოიტანონ პასუხისმგებლობა. ამ პროცესს, დარწმუნებული ვარ, წარმატებულ შედეგამდე მივიყვანთ.



**ირაკლი ჩიქოვანი, თავისუფალი დემოკრატების წევრი:**

— ეს არის მოლაპარაკებების ახალი ეტაპის საწყისი, სადაც კომპრომისების ძიებით შევძლებთ შეთანხმებების მიღწევას. რაც შეეხება დონორების მოძიებას, არაერთხელ გვითქვამს, რომ ბიომეტრიული პირადობის მოწმობების გაცემა იაფი არ არის, მაგრამ ამისთვის მზად ვართ, რომ ერთობლივად მივმართოთ დონორ ორგანიზაციებს, რომ ეს ინიციატივა დააფინანსონ. ჩვენ შევძლებთ მთლიანად საქართველოს დაფინანსებას და არა მხოლოდ თბილისის მასშტაბით ბიომეტრიული მონაცემების უზრუნველყოფას. რა თქმა უნდა, მოლაპარაკებების პროცესი არ იქნება მარტივი, დარწმუნებული ვარ, ბევრი ცხარე დისკუსია იქნება, მაგრამ ეს ყველაფერი მიმართული იქნება იმისკენ, რომ შეთანხმებას მივაღწიოთ.

**გოგა გოგნიაშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი:**

— პირველი ნაბიჯი კარგია, რაც ხელისუფლების მხრიდან იქნა გადადგმული. ეს ნიშნავს, რომ დიალოგის პროცესი დაიწყო, რადგან აქამდე ხელისუფლების პასუხი არც ერთ საკითხზე არ ვიცოდით. რაც შეეხება შემოთავაზებებს, საპილოტე პროგრამა მაშინ იქნებოდა მისაღები თუ დრო იქნებოდა მცირე, მაგრამ იმხელა დრო არის, რომ 2012 წლამდე სავსებით შესაძლებელია მოესწროს ეს ყველაფერი. ჩვენი აზრით, საკმარისი დრო არის იმისთვის, რომ მთელ საქართველოში ჩატარდეს ბიომეტრიული მონაცემებით მოსახლეობის აღწერა და ახალი ელექტრონული პირადობის მოწმობებით კენჭისყრა. რაც შეეხება სხვა შემოთავაზებებს, რომელიც ვენეციის კომისიის მოთხოვნებიდან არის გამომდინარე, რა თქმა უნდა, დავეთანხმებით, მაგრამ ერთი პირობით, თუ ჩვენ გავყვებით ყველა მოთხოვნას, ყველა იმ დასკვნას, რაც ვენეციის კომისიის მიერ არის შემოთავაზებული და ყველას გავითვალისწინებთ. არ შეიძლება ამოგლეჯილად რაღაცას დავეთანხმოთ და რაღაცას არ დავეთანხმოთ. ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსით უნდა იხელმძღვანელოს საქართველომ, რადგან ჩვენ ვალდებული ვართ ეს საერთაშორისო ხელშეკრულება დავიცვათ. იმედი მაქვს, დიალოგის პროცესი გაგრძელდება და ნორმალურ საარჩენო კოდექსს მივიღებთ. ამ იმედით ვაგრძელებ მუშაობას.

**პავლე კუბლაშვილი, უმრავლესობის წევრი:**

— ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია მთლიანად პროცედურასთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოხდეს, რა ვადებში? როგორ იქნება ერთი სიის გაკეთება, ან რა ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჯერ უნდა ვნახოთ, რა შეგვიძლია, რომ გავაკეთოთ. დონორების ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებით კითხვები აღარ იყოს. ამიტომ საცდელად შეგვიძლია თბილისში დავიწყოთ. იმედი მაქვს, პოლიტიკური პარტიები ამას გაგებით მოეკიდებიან.



***— ოპოზიცია ამბობს, რომ დონორების ამ პროცესში ჩართვა დაფინანსების კუთხით პასუხისმგებლობის გადაბარების მცდელობაა...***

— არანაირად. რადგან დაფინანსების ირგვლივ ამდენი საუბარია, ვთხოვოთ კონკრეტულ დონორ ორგანიზაციებს, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა და გადაწყვიტონ, რა თანხა არის საჭირო. ამ პროცესში ყველა პარტია უნდა იყოს ჩართული. იმედი მაქვს, რომ სიების შედგენაზე არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთლიანად პოლიტიკური სპექტრის პასუხისმგებლობა იქნება.

# ჯანდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებს აგინა

თეა მარხვაი ე



გუშინ პარლამენტში დიდი მხიარულობა იყო. უმცირესობამ და უმრავლესობამ მოითათბირეს, რომ მინისტრების კვირეულს მოაწყობენ. მინისტრებმა დეპუტატების კითხვებზე უნდა უპასუხონ. გუშინდელი ინციდენტის შემდეგ დეპუტატები ალბათ კითხვების დასმის დროს იფრთხილებენ, რადგანაც შესაძლოა ჯანდაცვის მინისტრს ისინი შემოელანძღოს.

კითხვების დასმის გამო ანდრია ურუშაძემ გუშინ ჟურნალისტებს აგინა. თუმცა არა ყველას. ჯანდაცვის მინისტრს „მაესტროს" და „კახეთის საინფორმაციო ცენტრის" ჟურნალისტები შემოეგინა.

ინციდენტი გურჯაანში მოხდა, სადაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მოსახლეობას უნდა შეხვედროდა. გურჯაანელებს მინისტრმა უთხრა, რომ ის რეგიონებში დადის და ხალხს ხვდება. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით კი, მას ადგილობრივმა ხელისუფლებამ საჯარო სკოლების მასწავლებლები, გამგეობისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები დაახვედრა.

არავინ იცის რატომ, მაგრამ მინისტრმა კახეთის საინფორმაციო ცენტრის და ტელეკომპანია „მაესტროს" კორესპონდენტებს აგინა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იუწყებიან, მათმა ჟურნალისტებმა მინისტრს არაერთხელ სთხოვეს კომენტარი. მინისტრი კი მათ ზურგს აქცევდა.

„მაესტრომ" და კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტებმა მინისტრს თავი მაინც არ დაანებეს. ბოლოს, როგორც ჩანს, მინისტრი შელონდა და როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იუწყებიან, გინებაც ატეხა. ისე ჩვენს მინისტრს კარგი გინება სცოდნია, რაკი კახელები გააკვირვა.

ამ თემაზე გუშინ დიდი ჟრიამული ატყდა. ჯანდაცვის სამინისტრომაც გააკეთა კომენტარი. მათი განცხადებით, ურუშაძე კარგ ოჯახშია გაზრდილი და არ შეიგინებოდა.

ასეთი რამე სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, დიდი ამბები ატყდებოდა, მაგრამ ეს საქართველოა და ნაციონალ მინისტრებს გინების უფლება აქვთ. „ახალი თაობა" მომხდარის გამო აღშფოთებას გამოხატავს. ჩვენს ნაგინებ კოლეგებს კი ვთხოვთ, რომ ურუშაძის გინების გამო ნერვები არ მოიშალონ, ის ხომ კარგ ოჯახშია გაზრდილი.

მგინებელ ჩინოვნიკებს კი შევახსენებთ, რომ ისევე, როგორც წყევლაა მაწყევრის, გინება — მაგინებლისაა. ასე რომ, სანამ ვინმეს დაწყევლიდეთ და შეაგინებდეთ, გახსოვდეთ, რომ ყველაფერი უკან მოგიბრუნდებათ.

# მოსკოვში, ფსბ-ს აკადემიასთან, აფეთქება მოხდა

მოსკოვში, მიჩურინის პროსპექტზე ავტობუსის გაჩერებასთან, ფსბ-ს აკადემიის სიახლოვეს, აფეთქება მოხდა.

აფეთქების ხმა, 9 მარტს, მოსკოვის დროით 16 საათსა და 30 წუთზე გაისმა. მცირეოდენი ზიანი მიადგა იქვე მდგომ რამდენიმე ავტომობილს.

ამასთან დაკავშირებით, რუსული მედია აღნიშნავს, რომ მოსკოვში უკვე მესამე დღეა ეძებენ კამიკაძეს დაღესტნიდან, 23 წლის ვიქტორ დვორაკოვსკის, რომელმაც შესაბამისი მომზადება გაიარა და მზადაა ტერაქტების ჩასატარებლად.

ათბ-ნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლება პირადობის ყალბ მოწმობებს ამზადებს

შორენა კოშოშაშვილი



ლეიბორისტული პარტია საქართველოდან პირადობის მოწმობების დამამზადებელი გერმანული კომპანია „მიულბაუერის" გაწვევას მოითხოვს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გუგავას მტკიცებით, აღნიშნულ გერმანულ კომპანიას საქართველოს ხელისუფლებამ პირადობის ყალბი მოწმობების დამზადება დაუკვეთა.

ამ შინაარსის განცხადება გუშინ ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გააკეთა.

გიორგი გუგავას განმარტებით, სანამ ოპოზიციური რვიანი საარჩევნო ანანიზმით არის დაკავებული და ჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნის ილუზიებით ცხოვრობს, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მორიგი არჩევნების გასაყალბებლად ემზადება.

— სანამ ე.წ. ოპოზიციური რვიანი საარჩევნო ანანიზმითაა დაკავებული, სააკაშვილის გაყალბების მანქანა ამუშავდა. მოქალაქეთა პირადობის მოწმობებს, რომლითაც არჩევნები ჩატარდება, საერთაშორისო კორუფციაში მხილებული გერმანული კომპანია „მიუნბაუერი" დაამზადებს. ეს ჯგუფი კი ხელისუფლებასთან კრიმინალურ შეთანხმებაშია, — განაცხადა გიორგი გუგავამ.

ლეიბორისტულ პარტიაში მიაჩნიათ, რომ ოპოზიციურმა ძალებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ამ გერმანული კომპანიის მიმართ და მას პროტესტი გამოუცხადონ.

— არჩევნების გაყალბება ხელისუფლებასთან გარიგებაში მყოფი გერმანული კომპანიის „მიულბაუერის" დახმარებით ხდება. კერძოდ, დამზადებული იქნება 100 ათასი ყალბი პირადობის მოწმობა, რომელთაც შემდგომ ხელისუფლების სასარგებლოდ მიცემულ ხმებად აქცევენ, — აღნიშნა გიორგი გუგავამ და იქვე დაამატა, რომ ზემოაღნიშნული გერმანული კომპანია მსგავსი ტიპის უკანონო საქმიანობაში სხვადასხვა აფრიკულ სახელმწიფოშიც, მათ შორის უგანდაშიც, არაერთხელ ამხილეს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ლეიბორისტული პარტია გერმანული კომპანიის საქართველოდან გაწვევის მოთხოვნით გერმანიის მთავრობას სპეციალურ მიმართვას გაუგზავნის.

— გერმანული კომპანია საქართველოდან უნდა წავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კრიმინალურ რეჟიმთან მისმა თანამშრომლობამ შესაძლოა ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფრთხე შექმნას, — აღნიშნა ბოლოს გუგავამ.

# სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეობას აპირებს

## სექტემბერში შეი ლება არჩევნები დაინიშნოს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, პრეზიდენტი პენსიონერებთან შეხვედრისას სიამაყით აცხადებს, რომ მან პენსია 100 ლარამდე გაზარდა, როგორ ფიქრობთ, დღევანდელ მძიმე სოციალურ პირობებში პენსიის 7 ლარით გაზრდა ხალხის მასხრად აგდება ხომ არ არის?***

— როცა სასურველს რეალობად აცხადებ, ცხადია, ამით ვერ დანაყრდება პენსიონერი, რადგან საუბარია სექტემბრიდან, თითქმის ნახევარი წლის შემდეგ პენსიის მომატებაზე. ამავე დროს ნელ-ნელა შეგვაჩვიეს ტერმინს საპენსიო პაკეტი, სადაც იგულისხმება სოციალური დაცვის მეტნაკლებად გავრცელებული ფორმებიც, ის, რომ 7 ლარს დაგიმატებენ შრომისა და დამსახურებისათვის, მიგვითითებს მხოლოდ ერთ რამეზე, რომ არც შრომას აქვს ფასი ამ ქვეყანად და არც რაიმე დამსახურებას. ამიტომ მოტივაცია, რომ ამ ქვეყნად ადამიანმა 50 წელი იშრომოს მუხლჩაუხრელად და სერიოზული დამსახურებები ჰქონდეს საკუთარ პროფესიაში პრაქტიკულად არ არსებობს. ვფიქრობ, რომ ცინიკური იყო თავად ადგილიც, სადაც გაჟღერდა ეს წინადადებები, რომ ნახევარი წლის შემდეგ პენსია მიაღწევს 100 ლარს. იქნებ ისიც ეთქვა ვინმეს, ჩვენი ეკონომიკური პროგნოზების

## სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს?

დიდოსტატს, რა ელირებოდა იმ პერიოდისთვის, ანუ პირველი სექტემბრიდან ფქვილი, პური, წამალი, შაქარი, საწვავი და ასე შემდეგ. ხომ არაფრის წარმოება დაიწყებოდა საქართველოში ამ ნახევარი წლის მანძილზე, რომ საკვები პროდუქტები გაიაფებულიყო? ან ვინმე ხომ არ აპირებს ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის გაიაფებას იმ დროისათვის? აბა, რა გითხრათ, ასეთი ნაადრევი დაპირებები, რომელიც დიდი ალბათობით შეიძლება იყოს უკუგდებული დათქმული ვადის მოახლოებისას და მიზეზად წარმოგვიჩინონ ის, რომ თურმე ახლა ინდოეთის მოსახლეობასაც მოშიებია და ჭამა დაუწყია, რასაკვირველია, დიდი იმედის საფუძველს არ იძლევა და ეს შესანიშნავად ეტყობოდათ სახეებზე ამ გადაღლილ და უიმედო პენსიონერებს, რომლებიც ალბათ მთლად გარკვეულნი ვერ დარჩნენ, რატომ უხმეს მათ ბიბლიოთეკაში.

***— არჩევნებს უმიზნებს სააკაშვილი და სექტემბერი იმიტომ შეარჩიაო...***

— ყველაფერი მოსალოდნელია, უკანასკნელი თვეების საქმიანობა ჩვენი პრეზიდენტის არცთუ მცირე ალბათობით მიანიშნებს იმაზე, რომ იგი მზად იქნება რაიმე ვადამდელი არჩევნებისთვის და მასთანავე არც გასაკვირია, რადგან დღევანდელ ხელისუფლებას ნულოვანი გამოცდილება აქვს დათქმულ ვადაში არჩევნების ჩატარების. არც ერთი არჩევნები 2004 წლის იანვრის ჩათვლით არ ყოფილა წინასწარ გამოცხადებულ ვადაში, ან კანონით გათვალისწინებულ ვადაში ჩატარებული. მოკლედ, დღეს თავი შეგვიძლია დავიმშვიდოთ იმით, რომ 100 ლარი ნამდვილად ჯობია 80-ს. თუმცა, რას ნიშნავს 80 ლარი მარტში და 100 ლარი სექტემბრიდან მოყოლებული კიდევ ორიოდე წელი, ამაზე ჩაფიქრება არ ღირს, რადგან ჯობია უკეთეს ხასიათზე ვიყოთ, ვიდრე მარტშივე გავიფუჭოთ ხასიათი.

***— საუბრობენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილს საერთოდ აღარ აქვს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი და საკმაოდ შეშინებულიაო...***

— ჩემი აზრით, სააკაშვილმა ხელი აიღო დასავლეთის სიმპათიის მოპოვების მცდელობაზე. სხვაგვარად ვერ ვხსნი, რატომ დუმს ქართული ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა ასეთი კეთილმოსაუბრე ენა და სიტყვა არ წამოსცდენია კრიტიკის, ან მუბარაკის ან კადაფის საქციელთან დაკავშირებით. მედვედევმაც კი რომელსაც დარწმუნებული ვარ, მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება არ ჰქონდა საკუთარი ვალდებულების გამო, ამოღერღა, რომ იარაღის გამოყენება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არის დანაშაული. სააკაშვილი კი დუმს, დუმს პრემიერი, დუმს საგარეო საქმეთა მინისტრი და ამ ვითარებაში რა გზავნილია ეს დუმილი დასავლეთისთვის იქ საკმაოდ მარტივად ხვდებიან. უბრალოდ დამეთანხმებით ალბათ, რომ დღეს საქართველო არ არის აქტუალური იმდენად, რომ ჩვენი მისამართით რაიმე განცხადებები კეთდებოდეს, თუმცა, ამის დროც მოვა, უსასრულო არ იქნება ის ტრაგიკული მოვლენები, რაც არაბულ სამყაროში მიმდინარეობს, თუმცა, არც მალე დაშოშმინების იმედია იმ საპროტესტო აქციებისა, რომელიც მართლაც ეპიდემიასავით მოედო არაბულ ქვეყნებს.

***— სააკაშვილის დუმილი იმით ხომ არ აიხსნება, რომ ისიც ზუსტად ისე მოიქცეოდა, როგორც კადაფი იქცევა?***

— ყოველ შემთხვევაში შეიძლება გულში ამას ბევრი ფიქრობდეს, მაგრამ მედვედევის ოდენი ჭკუა მაინც ხომ უნდა გქონდეს სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, რომ ასე მკაფიოდ არ გამოხატონ საკუთარი სიმპათიები ტირანების მიმართ.

***— რევოლუციებზე ვსაუბრობთ და დღეს საქართველოში საკმაოდ გახშირდა ოპოზიციონერი ლიდერების მხრიდან რევოლუციის დაანონსება ჩვენს ქვეყანაში. რამდენად სერიოზულად უყურებთ ამ ფაქტს და მართლაც არის თუ არა უახლოეს პერიოდში ეს საფრთხე მოსალოდნელი? საუბარია იმაზეც, რომ ეს ყველაფერი სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს და ეს ოპოზიციონერები მასთან შეთანხმებით მოქმედებენო...***

— მე გამოვრიცხავ, რომ გაჩეჩილაძე ან ბურჯანაძე სააკაშვილთან შეთანხმებით საუბრობდნენ რამეზე, ხოლო ის, რომ სასურველის რეალობად წარმოჩენის მცდელობა ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზეა, მიმანიშნებს მხოლოდ იმაზე, რომ ხალხის პოტენციალი ჯერ არ არის კარგად შესწავლილი. შესაძლოა ეს რაიმე ცნობილი ხერხია, ხალხის გამოსაღვიძებლად, რომელსაც პოლიტიკოსები მიმართავენ, რომ ვინმემ არ ჩათვალოს უჩემოდ არ შეიცვალოს ხელისუფლება და მე არ დავრჩე ისევ თამაშგარე მდგომარეობაშიო და გააქტიურდეს, შეიძლება ასეთი მოდელი მუშაობს, მე არ ვარ ღრმად ჩახედული მათ პოლიტიკურ მეთოდებში ხალხის აგზნების. თუმცა, ხელისუფლებაზე უკეთ ჩვენს საზოგადოებას ვერავინ ალაგზნებს, რადგან რევოლუციის წინა პირობებს, მიზეზებს რევოლუციისას წარმოაჩენს ხელისუფლება, ხოლო საბაბს, როდის მოხდეს ადეკვატური რეაგირება, ხელისუფლების ამგვარ უგვანო ნაბიჯებზე, პოულობს თვითონ ხალხი. ოპოზიციური პარტიის ფუნქცია არის, არ გამოეპაროს საპროტესტო მაჯის ცემა და დროულად მოხდეს მისი პოტენციალის თანხვედრა ხალხის აღშფოთებასთან. ცალკეული პარტია ვერც აღაშფოთებს ხალხს, ვერც დაამშვიდებს და ვერც რაიმეს აიძულებს.

***— თქვენი აზრით, რამდენად აწყობს დღეს სააკაშვილს არეულობა ქვეყანაში, რამდენად დაასხამს წყალს მის წისქვილზე?***



— მე არ გამოვრიცხავ, რომ ბევრი ფიქრის შემდეგ სააკაშვილი მივიდეს დასკვნამდე, რომ მისთვის ყველაზე უპრიანი და დასავლეთისთვის შედარებით მისაღები თანამდებობა სამომავლოდ იყოს პარლამენტის თავმჯდომარეობა. ეს არ გახლავთ ცარიელ ადგილზე წარმოშობილი ეჭვი, გარდა რამდენიმე სხვა მინიშნებისა, მე მახსოვს ბატონი პრეზიდენტის უკანასკნელი გამოსვლა პარლამენტში, სადაც მან შეაგულიანა პარლამენტარები, რომ მომავალი პარლამენტი კიდევ უფრო მეტი უფლების მქონე იქნება, ვიდრე დღევანდელი და ისე არ გეგონოთ, ჩემსავით ერთხელ შემოივლის პარლამენტში მომავალი პრეზიდენტიო. ის ყოველ კვირას მოვა თქვენთან საკითხების შესათანხმებლადო. არა მგონია, რომ ეს რეცეპტი სააკაშვილმა საკუთარ თავს გამოუწერა, როგორც პრემიერმა. მან უმალ პრემიერ-მინისტრი საკუთარ ველზე წარმოიდგინა, ვიდრე ეს შეიძლებოდა წარმოგვედგინა მისი პრემიერობის პირობებში.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ მთელი ფუნქციები პარლამენტის ხელში გადავა?***

— არანაირი პრობლემა არ არის პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში ორი-სამი წინადადების გადანაცვლება ფუნქციურად პრემიერ-მინისტრიდან პარლამენტის მიმართულებით. ამას ფორმალურად დასავლეთის აღარ დაუძახებს პუტინიზაციას, მაგრამ რეალურად ძალაუფლება დარჩება იგივე ძალის ხელში. ამისთვის სულაც არ არის საჭირო ლოდინი მომავალი საპარლამენტო არჩევნების. სააკაშვილს აქვს პერსპექტივა, რომ ის გამარჯვებული პარტიის ლიდერი იყოს სამომავლოდაც. ალიანსის შესაგროვებელ პოლიტიკურ ძალას ის უკვე ღიად დააფიქსირებს ასეთი არჩევნების შემდეგ, ასე რომ, ოპოზიციის სამიზნედ თუ კვლავ ერთმანეთი დარჩა, რასაკვირველია, სააკაშვილს რჩება საკმაოდ ფართო არჩევანი მომავლისათვის, რასაც ჰქვია ქვეყნის პრეზიდენტობა, პრემიერობა ან პარლამენტის თავმჯდომარეობა. მოედანიც მისია, ბურთიც მასა აქვს, თავადვე თამაშობს, მსაჯიც თვითონ არის და უზენაესი მოსამართლეც. ამიტომ ოპოზიციას რევოლუციის თარიღების გამოცხადებამდე მე მგონი გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს.

შორენა კოშოშაშვილი

# ვაუჩერებით ხალხს ვერ შეაჩერებენ

ყოფილი პოლიტპატიმარი ნანა კაკაბაძე საზოგადოებას პოლიტიკური აქტიურობისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ფაქტობრიბად დასავლეთი და რუსეთის სპეცსამსახურები უკვე შეთანხმებული არიან სააკაშვილის შეცვლაზე. თუმცა, კაკაბაძე იქვე მიანიშნებს, რომ ერთი სააკაშვილის მეორეთი ჩანაცვლება არ უნდა მოხდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი ქვეყანაში რევოლუციის წინა პერიოდის ნიშნებს ხედავს, თუმცა, ვერ გამოკვეთს პოლიტიკურ ძალას, რომელიც საზოგადოებაში ისეთი მხარდაჭერით სარგებლობს, რომელსაც შეუძლიათ რევოლუციური პროცესის წარმართვა.

რა პერსპექტივა აქვს ოპოზიციურ რვიანს და გადაარჩენს თუ არა სააკაშვილის ხელისუფლებას 20 და 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგება, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს **ნანა კაკაბაძესთან.**

***— ქალბატონო ნანა, არსებული პოლიტიკური ფონიდან გამომდინარე გარკვეული ოპოზიციური ძალები ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების აუცილებლობაზე საუბრობენ. შესაძლებელია დღეს ბრძოლის ახალი ტალღის წამოწყება?***

— ის, რომ პოლიტიკური მიდგომები უნდა შეიცვალოს, ფაქტია. მართლაც რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებაც არის აუცილებელი, ესეც ფაქტია. იმიტომ, რომ არასოდეს ქართველ ერს ასე არ უჭირდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მოღვაწეობის პერიოდში, ვგულისხმობ, 70-იანი წლების ბოლოდან დღემდე, როგორც დღეს უჭირს ქვეყანას. ასე რომ, თუ საქართველოში არსებობს ეროვნულობის განცდა, სამშობლოს სიყვარულის დანცდა და კიდევ უფრო რომ დავკონკრეტდეთ, თუნდაც საკუთარი ღირსების განცდა, რა თქმა უნდა, საზოგადოებამაც უნდა იფიქროს იმაზე, რომ დაიწყოს მძლავრი მოძრაობა იმ ყველაფრის წინააღმდეგ, რაც ამ ხელისუფლებამ ამ 7 წლის განმავლობაში დაანგრია.

***— ახალი მასობრივი საპროტესტო ტალღის წამოწყება ალბათ ძნელია, იქიდან გამომდინარე, რომ აქციების პარალელურად იზრდებოდა პატიმრების და უმუშევართა რიცხვი. ამან ხალხში ნიჰილიზმი და უკმაყოფილება გააჩინა.***

— კი, ამას თავისი სერიოზული გამომწვევი მიზეზები აქვს. ის, რომ ქართველ ხალხს არ აღმოაჩნდა სოლიდარობის უნარი. არ აღმოაჩნდა უნარი სერიოზული რეაგირებისა იმ მოვლენებზე, რომელიც პირდაპირ ლახავს როგორც ქვეყნის ინტერესებს, ისე ინდივიდუალურ ღირსებას დაწყებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ნგრევით, ვგულისხმობ იმას, რაც ცხინვალში მოხდა და შემდეგ უკვე მოხდა აფხაზეთის აღიარებაც, როგორც ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. აი, თუნდაც ამ პოლიტიკაზე, როდესაც ქართველებს არ აღმოაჩნდათ უნარი ხელისუფლებისგან პასუხი მოეთხოვათ, ეს არის ძალიან საბედისწერო მთლიანად საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის. როდესაც ასეთი სერიოზული დანაშაული ხელისუფლებას ეს ერმა შეარჩინა და დღემდე ამაზე არ მიდის არანაირი სერიოზული დავა, ბუნებრივია, ამის მერე ხელისუფლება იმ საზოგადოებას გაუკეთებდა და აკადრებდა იმას, რასაც დღეს აკადრებს თუნდაც 20-ლარიანი და 30-ლარიანი ვაუჩერებით და იმ ცინიზმით, როგორც ის ექცევა დღეს საქართველოს მოსახლეობას.

***— ამ ვაუჩერების დარიგება გადაარჩენს სააკაშვილის ხელისუფლებას მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონის პირობებში? ფაქტია, „მარშრუტკების" მძღოლების განცხადებით, მათ აქცია პოლიციის მუქარის გამო შეწყვიტეს. ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება საპროტესტო განწყობას ჩაკლავს?***

— რა თქმა უნდა, ნორმალურ საზოგადოებაში ეს პროტესტს გააღვიძებს და ამაზე საზოგადოების მხრიდან სერიოზული რეაგირება იქნება. ეს უნდა გახდეს კონსოლიდაციის საფუძველი. თუნდაც ის, რომ დღეს ეს 20-ლარიანი ვაუჩერები, კი, გეთანხმები, რომ ხელისუფლებამ გადმოუდგო ხალხს იმისათვის, რომ საპროტესტო ტალღა შეაჩეროს, მაგრამ ის ხალხი, რომელსაც ეს 50 ლარის ერთჯერადი დახმარება შეაჩერებს, ვფიქრობ, არც იმ ვაუჩერებს იმსახურებს. მე ვფიქრობ, რომ დღეს საზოგადოებაში აბსოლუტურად ობიექტურად უნდა არსებობდეს სერიოზული პროტესტი ხელისუფლების ქმედებებზე; უნდა არსებობდეს სერიოზული მოთხოვნები, როგორი ხელისუფლება სჭირდება ამ ქვეყანას იმისათვის, რომ ჯერჯერობით გადარჩეს და მერე დაიწყოს განვითარება. თუ ამის მოთხოვნა ხალხში არსებობს, ბუნებრივია, ეს 20-30 ლარიანი ვაუჩერები მხოლოდ და მხოლოდ ასეთი საპროტესტო პროცესების წამახალისებელი იქნება და არა, პირიქით.

***— ქართული პარტია და ნინო ბურჯანაძე პროცესების რევოლუ-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ხელისუფლებამ 700 ათასი მკვდარი სული უკვე დაიმატა

თეა მარხვაიძე

რვა ოპოზიციური პარტია ღრმად არის დარწმუნებული, რომ ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გააჯანსაღებინებს, შემდეგ კი გაჯანსაღებულ გარემოში არჩევნების გზით შეცვლიან სააკაშვილის რეჟიმს. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ისინი ხშირად ხვდებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს. ბიომეტრიული პასპორტები ოპოზიციის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო. ხელისუფლებამ ბიომეტრიულ პასპორტებთან დაკავშირებით ოპოზიციას გზები დაუხლართა. ამის მიუხედავად ოპოზიციური რვიანის წევრები მაინც ამტკიცებენ, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება.

რისი იმედი აქვს ოპოზიციას, რატომ უნდა გაუქმდეს მაჟორიტარების ინსტიტუტი, საიდან მოიყვანა ხელისუფლებამ დამატებით 700 ათასი ამომრჩეველი, ამის შესახებ ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი „ახალ თაობას“ ესაუბრება.



**ალეკო შალამბერიძე:**

— ჩვენ წარვადგინეთ ბიომეტრიული პარპორტები და სიები. ეს ნიშნავს, რომ 1 ხმა რეალურად იქნება 1 ხმა. ამის გარდა ჩვენ კიდევ ბევრი საკითხი დავსვით დღის წესრიგში, რომელიც სამართლიანი არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს. ხელისუფლებას თავისი ხედვები უნდა მოეტანა 1 თებერვლამდე. მათ დააგვიანეს, თან არც საკუთარი ხედვები მოუტანიათ. მოიტანეს უბრალოდ კალკულაცია. მათ დაანგარიშებული ჰქონდათ, რა ფასად შეძლებდნენ ბიომეტრიული პასპორტების დამზადებას.

***— რა ფასი დაასახელეს?***

— თითქმის 200 მილიონი. ისეთი ციფრები მოიტანეს, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი არ ჰქონდა. ჩვენ ეს საკითხი გავარჩიეთ. ხელისუფლებას დავუთვალეთ, რა ჯდებოდა სინამდვილეში ბიომეტრიული პასპორტების დამზადება. მანამდე ამბობდნენ, რომ 3 მილიონი ამომრჩეველია საქართველოშიო. მერე უცბად გვითხრეს, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა 3 700 000.

***— საიდან მოიტანეს ეს 700 ათასი. ალბათ მკვდარი სულები მოიხმეს.***

— უფრო მკვდარი სულები უნდა იყვნენ. ფაქტია, რომ უცბად გამოაძრეს სახელოდან 700 ათასი ამომრჩეველი. მართალია ეს ხელისუფლების მხრიდან უსიამოვნო სიურპრიზი იყო, მაგრამ ჩვენ მოლაპარაკებებს მაინც ვაგრძელებთ.

***— თავს გადაგდებულად არ მიიჩნევთ?***

— არ მივიჩნევთ. ჩვენ გვჯერა, რომ ადრე თუ გვიან ისინი დათმობაზეც წავლენ და თავიანთ ხედვებსაც მოიტანენ.

***— თუ არ მოიტანეს?***

— მოვატანინებთ.

***— რანაირად?***

— ამისთვის უამრავი მექანიზმი არსებობს. ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას დათმობებზე წასვლას. ჩვენ სისხლი და რევოლუცია არ გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში ამიერიდან ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით იცვლებოდეს. ამისთვის საჭიროა სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ჩვენ ახლა ამისთვის ვიბრძვით.

***— და გჯერათ, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდება?***

— თუ კარგად ვიმუშავებთ და თანმიმდევრულები ვიქნებით, საქართველოში სამართლიანი არჩევნები ნამდვილად ჩატარდება. არჩევნები საქართველოში პროპორციული უნდა იყოს. საარჩევნო ოლქები თანაბარი უნდა იყოს, რათა ამომრჩეველთა ყველა ჯგუფს თანაბარი ოდენობის დეპუტატები ჰყავდეს პარლამენტში.

***— თქვენ მაჟორიტარების წინააღმდეგი ხართ?***

— წინააღმდეგი ვართ. ეს ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს.

***— რას ერჩით მაჟორიტარებს?***

— დავიწყოთ იმით, რომ მაჟორიტარულ ოლქებს შორის არის ძალიან დიდი განსხვავება. ეს მაჟორიტარები ამ 20 წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნენ ხელისუფლების ტირანიის გასაძლიერებლად. აი, ამას ვერჩით მაჟორიტარებს. ისინი პატარა ტირანუკები არიან და დიდ ტირანებს ეხმარებიან ხელისუფლების გამყარებაში.

***— შალვა ნათელაშვილს რომ ჰკითხო, ისინი ფულიანი ტომრები არიან და მეტი არაფერი.***

— ისინი მართლაც ფულიანი ტომრები არიან.

***— აბა, ტირანუკებიო...***

— ფულიანი ტირანუკები არიან. რადგანაც ხელისუფლების გამყარებისთვის ფულს დებენ, ხელისუფლებაც სათანადოდ მიუზღავს.

***— სათანადოდ როგორ?***

— აძლევს მათ პატარა ტირანუკების უფლებებს და ისინიც ტირანობენ. ამიტომ უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ საარჩევნო გარემო შეიცვალოს. ჩვენ არაფრის არ გვჯერა. ამიტომაც ლაშა ჩხარტიშვილთან ერთად ვაპროტესტებთ იმ ბოროტებას, რასაც ქვეყანაში აქვს ადგილი. აქციებს ვმართავდით დევნილების, გარემოვაჭრეების, ვეტერანების, პედაგოგების, ექიმების დასაცავად. საარჩევნო გარემოს შეცვლაც აქციების ფონზე უნდა მოხდეს.

***— გარემოვაჭრეები რაკი ახსენეთ, როგორც ახსნით იმას, რომ ხელისუფლებამ ნაწილობრივ ისევ დაუშვა გარევაჭრობა, თქვენი აქციების ბრალია თუ მუბარაქის ბედის გაზიარების შეეშინდათ?***

— ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი სარჩოს გარეშე დარჩა. პურის ფულს გარევაჭრობით შოულობდნენ. ისინი იძულებული არიან იზრუნონ ლუკმაპურის მოსაპოვებლად. პოლიციური მანქანაც კი ვერ უძლებს ამას. ეს პოლიციელები დღემდე დასდევენ გარემოვაჭრეებს, ხაჭაპურებს ართმევენ და უსრისავენ. საშინელი სანახაობაა.

***— მოდით, მაშინ ისიც ვთქვათ, რომ პოლიციელები ხშირად თვალს ხუჭავენ გარემოვაჭრეებზე. პოლიციაშიც ბევრი კარგი ადამიანი მუშაობს.***

— ამას არავინ არ უარყოფს. პოლიციაში მართლაც ბევრი კარგი ადამიანია. შიმშილის ზღვარზე მყოფი ადამიანები იბრძვიან გადარჩენისთვის. ქუჩაში ძალიან დიდი მასაა გამოსული. ის პოლიციური მანქანა, რომელიც სააკაშვილს გააჩნია, ამას ვერ აუდის. პროტესტმა უშედეგოდ მაინც არ ჩაიარა. მე მჯერა, რომ ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა დევნილებთან დაკავშირებითაც მოუწევს.

***— საეჭვოა ხელისუფლებამ ფოცხოში გადასახლებული დევნილები უკან დააბრუნოს.***

— ხელისუფლება არ დააბრუნებს. ადამიანები იქედან თავად მოდიან. როგორც კი ფულს დააგროვებენ, უკან გამორბიან. რამდენიმე დღის წინ მე ვიყავი გორში. „თრიალეთის“ ეთერით გამოვედი. გადაცემის ბოლოს უამრავი ზარი შემოვიდა. აქედან გაყრილები გორში ცხოვრობენ სხვა დევნილებთან. ეს ადამიანები ქუჩაში არიან დარჩენილები და შველას ითხოვენ. ბუნებრივია, რომ ისინი თავიანთი უფლებების დასაცავად იბრძოლებენ. ხელისუფლებაზე მუდმივი ზეწოლა შედეგს მოიტანს.

***— მერე კი ისე ხდება, რომ დევნილები არჩევნებზე ისევ ხელისუფლებას აძლევენ ხმას.***

— არის მომენტი, როცა დიამეტრულად სხვა სიტუაცია დგება.

***— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ახლა დიამეტრულად სხვა სიტუაცია იქნება?***

— იმდენი უსამართლობა ჩაიდინა ხელისუფლებამ, სხვანაირად შეუძლებელი იქნება. დევნილების ასეთ დევნას ადგილი არასდროს ჰქონია. გამორიცხულია მათ ხელისუფლებას დაუჭირონ მხარი. ამ ადამიანებს ეს დევნა არასდროს არ დაავიწყდებათ.

***— ხელისუფლების ნამოქმედარი ალბათ არ დაავიწყდებათ, მაგრამ ამ ადამიანებს არც ოპოზიციის იმედი აქვთ.***

— ვიცი, რომ იმედი არ აქვთ. მე და ჩხარტიშვილი ამდენს სწორედ ამიტომ დავრბივართ. ხალხში ნიჰილიზმი უნდა დაიძლიოს. საპროტესტო მუხტი ჩვენ უნდა ავწიოთ.

***— მარშრუტკებთან დაკავშირებით რას იტყვით. აქციების მიუხედავად, მგზავრობის საფასური მაინც გაიზარდა.***

— ხომ ვამბობდით, გაიზრდებათქო და გაიზარდა კიდევაც. მინდა ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, რომ სადაც მონოპოლისტები არიან, იქ აუცილებლად გაიზრდება ფასები.

***— უგულავა პირობას დებს, არ გაიზრდებაო.***

— მისი პირობა არის ბლეფი. ფასები გაიზრდება. დაბალი ფასების ერთადერთი წყარო არის კონკურენცია. მრავალი სამარშრუტო ხაზი, ეს არის გარანტი იმისა, რომ მაღალი მომსახურება და დაბალი ფასი იქნება.

***— მგზავრობის საფასურის გაზრდას ხელისუფლება საწვავზე ფასების ზრდას აბრალებს. გამოდის, რომ ყველაფერი კადაფის ბრალი ყოფილა.***

— რეგიონულ დონეზე კადაფი საწვავზე ფასის ზრდას არ უნდა იწვევდეს. როცა გვერდით არის აზერბაიჯანი, სავსებით შესაძლებელია ფასები ბევრად ნაკლები იყოს.

***— გამოდის, რომ ყველაფერი ალიევის ბრალი ყოფილა.***

— ალიევის კი არა, სააკაშვილის ბრალია. ყველაფრის ბიზნესში ეგ არის ჩართული. ბარკლების ბიზნესშიც კი ჩაყო ხელები. ბიზნესს მთლიანად ნაციონალები აკონტროლებენ. ამიტომაც იზრდება ფასები. ხორცის ფასის გაზრდა პირდაპირ უკავშირდება ბოინის გახსნას ნატახტარში.

***— ახლა თქვენ ნამდვილი ლეიბორისტივით ლაპარაკობთ.***

— რატომაც არა. თუ საჭირო გახდა, მე ლეიბორისტი ვიქნები, შალვა ნათელაშვილი კი — ხალხის პარტია.

***— სადაც რობერტო კარლოსი რეალიდან მახაჩყალაში გადავიდა სათამაშოდ, თქვენ რომ ლეიბორისტებში გადახვიდეთ, არაფერი მოხდება.***

— ჩვენ, ოპოზიციურ პარტიებს, ერთიანი ხედვა გვაქვს. ჩვენი ამოცანაა მოვახდინოთ კოორდინაცია და ერთმანეთი არ ვლანძღოთ. არ არის აუცილებელი, ვიყოთ მეგობრები. არ არის აუცილებელი, ვიყოთ მეჯვარეები და ერთმანეთის შვილების ნათლიები. აუცილებელია საერთო ინტერესით მოქმედება. ასე შედეგი აუცილებლად მოვა.

# ვაუჩერებით ხალხს ვერ შეაჩერებენ



დასაწყისი მე-3 გვერდზე

***ციურ განვითარებაზე მიანიშნებენ. უნდა ველოდეთ რევოლუციას ამ გაზაფხულზე?***

— რევოლუციის დათქმული თარიღები არასოდეს არ ამართლებს. მაგალითად, ხვალ რომ რევოლუცია იქნება, ამის არ მჯერა. მაგრამ ამის ყველა მონაცემი არსებობს. ის, რომ ხელისუფლება არ თმობს პოზიციებს და არ ცდილობს, არჩევნების გზით მოხდინოს ხელისუფლების ცვლილება. ე.ი. სააკაშვილს უზურპირებული აქვს ხელისუფლება. უზურპირებული ხელისუფლება ლუკაშენკოსაც აქვს, მაგრამ ის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს იმ ქვეყანაში ადამიანების ნორმალურ არსებობას და თანაარსებობას საზოგადოების. რაღაცნაირად ლუკაშენკომაც კი ანუ ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმაც კი აჯობა მიხეილ სააკაშვილს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებაში და ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებაში. ლუკაშენკოს ქვეყანაში რომ ჩახვიდეთ და შეადაროთ საქართველოს, დარწმუნდებით, რომ იქ ასფალტიც უკეთესია დაგებული, ხალხიც უკეთესად არის სოციალურად დაცული და ჩვენზე უკეთესად ცხოვრობენ. ანუ ეს ადამიანი არჩევნების გზით არ ცდილობს, რომ პოლიტიკურ ძალებს საშუალება მისცეს, შეცვალონ ხელისუფლება. როდესაც ყველა გზა ამოიწურება და არსებობს ასეთი მძლავრი პროტესტი, როგორიც დღეს სააკაშვილის რეჟიმმა გამოიწვია, ბუნებრივია, სხვა გზა აღარ რჩება, გარდა რევოლუციისა. ეს არის ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება, შემდგომ ხელისუფლების ცვლილება. დღეს არის, ასე ვთქვათ, ბოლო ვადა იმისა, რომ ხელისუფლებამ უნდა გვამცნოს, რა სახის დათმობებზე მიდის. მე პირადად, ძალიან უტოპიურად მეჩვენება, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ დათმოს სასამართლო და სასამართლო მართლაც დამოუკიდებელი გახდეს; ანდა დათმოს მედია და ჟურნალისტები გახადონ დამოუკიდებელი. ეს მე უტოპიურად მეჩვენება იმიტომ, რომ როგორც კი ამას გააკეთებს, იმავე დღეს თვითონ აღმოჩნდება ციხეში თავისი დანაშაულებრივი და კრიმინალური გუნდით, რომელმაც ბიზნესიდან დაწყებული მცირე მოვაჭრეებით დამთავრებული ყველაფერის უზურპირება მოახდინა. რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს პირობებში ასეთი ხელისუფლება ციხეში იქნება. ამიტომ მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ხელისუფლება ნებით დათმობს ამ პოზიციებს. მაგრამ თუკი ხელისუფლება ნებით არ დათმობს თავისუფალ საარჩევნო გარემოს, მაშინ ის, რა თქმა უნდა, არ დათმობს მთალიანად თავის ძალაუფლებას. მე ვფიქრობ, რომ ზეწოლა, საპროტესტო მიტინგები და აქციები აუცილებლად უნდა დაიწყოს. უნდა დაიწყოს სწორედ ასეთი მოთხოვნებით, რომ დათმოს სასამართლო და სასამართლო გახდეს დამოუკიდებელი; დათმოს მედია და მედია გახდეს დამოუკიდებელი; დათმოს ბიზნესი და ბიზნესმენებს საშუალება მისცეს, არა ის, რომ შეკრებს სადღაც მინდვრებში და ჩამოსხამს გუგულებივით ამ ბიზნესმენებს და იქ რაღაც ლექციას უკითხავს და მოძღვრავს, არამედ მისცეს თავისუფალი მოქმედების და თავისუფალი ბიზნესის საშულება ამ ქვეყანაში. აი, ამაზე უნდა დაიწყოს სწორედ მიტინგები და მანიფესტაციები, რომ ხელისუფლება ვაიძულოთ, ეს ყველაფერი დათმოს. როდესაც იძახიან, რომ ხელისუფლება მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლება შეიცვალს, ვეჭვობ. თუ იგივე საპროტესტო ტალღით, იგივე მიტინგებით და მანიფესტაციებით სააკაშვილი არ დათმობს იმ ყველაფერს, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით — სასამართლოს, მედიას და ბიზნესს არ გაათავისუფლებს, თანამდებობას როგორ დათმობს და სახლში როგორ წავა?! ბუნებრივია, პირველი ზეწოლები უნდა წავიდეს სწორედ იმ კუთხით, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი. ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ სადღაც არსებობს ორგანო, სადაც შეუძლია სამართალი იპოვოს. სანამ ეს არ მოხდება, მანამ არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა შედგა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ქვეყანაზე, როცა სამართალი იქნება დაცული და მოქალაქეს შეეძლება თავისი უფლებები დაიცვას სასამართლოს დონეზე. სანამ ეს არ მოხდება, ვიმეორებ, ამ ქვეყანაში არაფერი არ დაწყნარდება.

***— ითქვა, რომ დასავლეთი და რუსეთის სპეცსამსახურები უკვე შეთანხმდნენ სააკაშვილის ხელისუფლების ჩანაცვლებაზე. იკვეთება ამ ფონზე მოძრაობა და რა როლს თამაშობს ამაში ბოკერია და მისი გუნდი?***

— კი, ასეთი შეთანხმება ჩანს დასავლეთიდან. იგივე როდესაც საუბარი დაიწყო ბარკორასებზე და ითქვა, რომ საქართველო ამ მხრივ გამიკვეთილი ქვეყანაა, ეს უკვე ძალიან ბევრის მანიშნებელი უნდა იყოს ხელისუფლებისთვის. გამოდის, საქართველოს ხელისუფლებას უყურებენ, როგორც ასეთი ქვეყნის ხელისუფლება. ის, რომ პირადად სააკაშვილის მმართველობა დასრულებულია, ეს ამ განცხადებაშიც ნათლა ჩანს. ისიც, რომ სააკაშვილს უკვე ხელისუფლების შიგნით გაუჩნდა ოპოზიცია, თუმცა, ეს ჯერ არ არის კარგად გამოკვეთილი და გახმოვანებული. თუმცა, ალბათ არც დიდი დრო დარჩა იქამდე, სანამ ეს გუნდი კარგად გამოიკვეთება. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი გადაწყვეტილება არსებობს სააკაშვილის მიმართ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მართლაც ქვეყანაში რაღაც ცვლილებები მოხდება. სააკაშვილ 1-ს თუ ჩაანაცვლებს სააკაშვილი 2, ეს არაფერს არ შეუცვლის ხალხს. მთავარია, შეიცვალოს და დაინგრეს ის სისტემა, რომელიც ამ ხალხმა შექმნა. ეს არის კრიმინალური სისტემა, რომელიც ამ ხელისუფლებამ შექმნა და დანერგა. ეს უნდა შეიცვალოს და ყველა ამ სისტემის შემოქმედი, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, ხელისუფლებას უნდა ჩამოშორდეს. უნდა მიეცეს ახალ პოლიტიკურ ძალებს იმის საშულება, რომ ნამდვილად ახალი და ჯანსაღი პოლიტიკა აწარმოონ ამ ქვეყანაში.

***— რა პერსპექტივა აქვს იმ ოპოზიციურ რვიანს, რომელიც ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბრობს? არის თუ არა ეს მოლაპარაკებები პოლიტიკური პროცესის უკან დახევა?***

— ამ რვიანს დასავლეთიდან მეტ-ნაკლები მხარდაჭერა ნამდვილად აქვს. ჩვენ ვხედავთ ჩართულობას იგივე „იუსეიდიდან“, რომელიც ამერიკის მთავრობას წარმოადგენს; ამერიკის საელჩო, რომელიც ასევე ამერიკის მთავრობას წარმოადგენს. მაგრამ ეს მხარდაჭერა არასაკმარისია ამ რეჟიმის პირობებში იმისათვის, რომ ასეთ პოზიციებს ჰქონდეს არჩევნებში გამარჯვების იმედი. არასაკმარისი დახმარებაა. თუ ამ ქვეყნებს უნდათ რეალურად დაეხმარონ საქართველოს, მათ ძალიან კარგად იციან, ასეთი სახის დახმარება როგორ და რანაირად ხერხდება. თუმცა, ჯერჯერობით ასეთი სახის დახმარება არ ჩანს. ეს მხოლოდ განცხადებებისა და მათი ჩართულობის თანმდევი იქნება. ეს მხოლოდ მოლაპარაკებებშია გამოკვეთილი. ვიმეორებ, ეს არასაკმარისია. ასეთი ნაწილობრივი ჩართულობა შეიძლება იქიდანაც იყოს განპირობებული, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ხედავდენ, რომ ამ ოპოზიციურ რვიანს საზოგადოებაში აქვს სერიოზული დასაყრდენი და რომ ისინი საზოგადოების გარკვეული რაოდენობის აზრს გამოხატავენ. არჩევნებში აღებული ხმების და სხვა ფაქტორების გამო არ ფიქრობენ, რომ ამ პარტიებს ქვეყანაში ჰყავთ სერიოზული მხარდამჭერები. დასავლეთიდან სერიოზული მხარდაჭერა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ისეთ ძალებს, რომლებიც შეძლებენ დაანახონ, რომ ისინი ქვეყნის შიგნით სიტუაციას ფლობენ და რომ საზოგადოებაში ჰყავთ მყარი საყრდენები. მე ვფიქრობ, ამ რვიანმა ჯერჯერობით ასეთი რამ დასავლეთს ვერ დაანახა. ამიტომაც არის მათი ჩართულობა ასეთი მინიმალური ამ მოლაპარაკებებში.

***— ანუ ქართველ საზოგადოებას და პოლიტიკურ სპექტრს ისევ რევოლუციური გზა რჩება?***

— არა, მე მარტო ამას არ მივანიშნებ. იმის თქმა მინდა, რომ ამ რვა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა სცადოს, ქვეყნის შიგნით ნდობა მოიპოვონ და საზოგადოების მხარდაჭერა, რათა უფრო გაძლიერდეს მათ მიმართ სერიოზული მხარდაჭერა დასავლეთისგან. ასევე ვერ ვხედავ იმას, რომ თუნდაც რევოლუციურ გზას ჰქონდეს მხარდაჭერა დასავლეთიდან. იმიტომ, რომ არც ამ პარტიების მიმართ არ არსებობს ნდობა დასავლეთიდან, რომლებიც მხოლოდ რევოლუციაზე საუბრობენ. საზოგადოებაში ბუნებრივად არსებობს ხელისუფლების მიმართ პროტესტი, რაც ერთი პარტიის დამსახურება არ არის. საზოგადოებამ უნდა სცადოს მართვის სადავეებს ჩამოიცალოს ის სისტემა, რომელიც სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ დაამყარეს.

# პატიმარი ქალები შიმშილობას აპირებენ



**ინტერვიუ მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელ ეკა ბესელიასთან**

*— ქალბატონო ეკა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატიმარი ქალები საპატიმროში არსებული გაუსაძლისი პირობების გაპროტესტების მიზნით შიმშილობის დაწყებას აპირებენ, რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ და გაუსაძლის პირობებში კონკრეტულად რა იგულისხმება?*

— დიახ, სავსებით შესაძლებელია, რომ პატიმარმა ქალებმა შიმშილობა დაიწყონ, რადგან დღეს პენიტენციალურ სისტემაში ურთულესი ვითარებაა. პატიმრებს უმძიმეს პირობებში უწევთ ყოფნა, განსაკუთრებით პატიმარ ქალებს. იცით, პატიმარი ქალების მიმართ არათუ ხელისუფლების დამოკიდებულება არის ტოლერანტული და შემწყნარებლური, არამედ უფლებადამცველების მხრიდანაც კი არ არის საკმარისი ძალისხმევა მიმართული იმისკენ, რომ საპატიმროებში ვითარება რეალურად შეიცვალოს.

*— რას გულისხმობთ?*

— პირველ რიგში, იმას, რომ საპატიმროებში არსებულ პრობლემებს საკმარისი ყურადღება არ ეთმობა და ამ საკითხებზე სულ რალაც თითზე ჩამოსათვლელი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. მონიტორინგისთვის პენიტენციალური სისტემა დაიხურა. მინისტრი კალმახელიძე უსულგულოდ და ცივსისხლიანი დამოკიდებულებით ცდილობს სამინისტროს მართვას. რაც შეეხება იმას, თუ როგორი პირობებია დღეს საპყრობილეებში. რამდენიმე კორპუსი გარემონტდა და ამას არც არავინ უარყოფს, რამდენიმე ახალი ციხეც აშენდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საპატიმროებში არსებული პირობები ყველასთვის თანაბარი არ არის. ქალთა ციხეში ბევრი პატიმარი ცივ იატაკზე ცხოვრობს, მათ პირადი ჰიგიენის საშუალებები მოწესრიგებული არ აქვთ და მათი უფლებები საკმაოდ ხშირად ირღვევა.

*— პატიმარი კაცების მსგავსად ციხის ადმინისტრაციის და თანამშრომლების მხრიდან მათ მიმართაც აქვს წამების ფაქტებს ადგილი?*

— წამების კონკრეტულ ფაქტებზე არ მსმენია, თუმცა, ის პირობები, რომელშიც ისინი იმყოფებიან, წამების ტოლფასია. რაც შეეხება პატიმარ კაცებს, მათი წამების უამრავი ფაქტი არსებობს. მაგ.: ცინცაბაძის საქმე, რომელიც ევროპის სასამართლომ დაასრულა და საქართველოს ხელისუფლებამ წააგო, სწორედ საპატიმროში პატიმრის გარდაცვალების ფაქტს ეხებოდა. ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ პატიმარმა თავი მოიკლა, თუმცა, ევროსასამართლომ სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობა საკმარისად დასაბუთებულად არ მიიჩნია და ამიტომ, როგორც გითხარით, ხელისუფლებამ ეს საქმე წააგო.

*— როგორც ამბობენ, პატიმრების უფლებები ყველაზე მეტად ციხის საავადმყოფოში ირღვევა და იქ აწამაბენ თუ აწამებენ პატიმრებსო, ასეა?*

— დიახ, ნამდვილად ასეა. გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში წამების ფაქტები კარგა ხნის წინ დაფიქსირდა.

*— კონკრეტულად?*

— მაგალითად: ერთ-ერთ პატიმარს, გვარად წიკლაურს, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდია და ეტლით გადაადგილდება, სასტიკად სცემეს.

*— რატომ?*

— ეს ადამიანი საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობდა, ადმინისტრაციამ ეს ვერ მოითმინა და წესისამებრ, მისი პროტესტი ძალის გამოყენებით ჩაახშვეს. ჩვენ, ამ საკითხზე კონკრეტული რეაგირება მოვახდინეთ. ექსპერტიზაც ჩატარდა, დაზიანებებიც დადასტურდა, გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ წესისამებრ, ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. იცით, რა ხდება, საპყრობილეების დირექტორებს და მოადგილეებს ასეთი კანონდარღვევის შემთხვევაში ხელშეუხებლობის ინდულგენცია აქვთ. არ იკითხავთ რატომ? იმიტომ, რომ თუ ისინი ასე არ მოიქცევიან, მართვის პულტი ხელიდან გაექცევათ და ძალის გამოყენების გარეშე, იმ პროტესტის ჩახშობას, რომელიც პატიმრებს სამართლიანად აქვთ, ვერ შეძლებენ. ყოველდღე მომდის წერილები, სადაც პატიმრები გვთხოვენ, დავეხმაროთ იმაში, რომ სამედიცინო დახმარება დროულად აღმოუჩინონ ხოლმე და ჩვენ ამის თაობაზე უამრავ რეკომენდაციას ვუგზავნით მინისტრ კალმახელიძეს, თუმცა...

*— რატომ არ აღმოუჩენენ სამედიცინო დახმარებას დროულად, თქვენი აზრით, ასე მიზანმიმართულად იქცევიან?*

— რა თქმა უნდა, ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა და ბოლო პერიოდში პატიმართა სიკვდილიანობის რიცხვიც საგრძნობლად გაიზარდა.

*— მინისტრი კალმახელიძე აცხადებს, რომ პატიმრები ბუნებრივი სიკვდილით იღუპებიან, თუმცა, ადვოკატები სხვაგვარად ფიქრობენ და ამბობენ, რომ პატიმრები ხშირად გაურკვეველ და ბუნდოვან ვითარებაში იღუპებიან...*

— დიახ, ასეა. ეს კი წლის ფრაზა იყო, რომელიც ქალბატონმა კალმახელიძემ სრულიად უკონტროლოდ, მაგრამ გულწრფელად თქვა, რითაც მან ადამიანის ბედისა და სიცოცხლის მიმართ თავისი ცინიკური დამოკიდებულება გამოააშკარავა. მაგალითად: ცეცხლაძე, რომელიც სასტიკად იყო ნაწამები, ხელისუფლების თქმით, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. არადა, მას ძალადობის კვალი აშკარად ემჩნეოდა. თემურ ტოპოლოღლი, აფხაზი პატიმარი, რომელიც სრულიად ჯანმრთელი შევიდა ციხეში გარდაიცვალა იმის გამო, რომ არ უმკურნალეს. სამწუხაროდ, დღეს ციხეში შესული სრულიად ჯანმრთელი ადამიანი გარეთ აბსოლუტურად დაავადებული გამოდის. პატიმრების სიცოცხლე რეალურად მოკლდება სწორედ იმის გამო, რომ საპატიმროებში არ არის ის მინიმალური სტანდარტები, რომელიც პატიმარს სჭირდება.

*— როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ხელისუფლებას სრულებითაც არ ადარდებს და საპატიმროებში არსებული გაუსაძლისი პირობების გაუმჯობესებას არც აპირებს, ხომ?*

— დიახ. იცით, სააკაშვილის რეჟიმი ხასიათდება პრინციპით — დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს. მათ ჰგონიათ, რომ მომავალი პრივატიზებული აქვთ, ეს კი ბრიყვის პოზიციაა. როდესაც ქვეყანაში მთავარი ინსტიტუტი — სასამართლო არ არსებობს, უფრო სწორად, არსებობს, მაგრამ პროკურატურის ქვეორგანოა, ასეთ სიტუაციაში საუბარი რაიმე ტიპის დემოკრატიაზე არის ილუზორული. სააკაშვილს კონსტიტუციაც საკუთარ ინტერესებზე აქვს მორგებული. თქვენ ნახეთ, რომ მან ბოლო ცვლილებებით კონსტიტუციაში ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა და უფლებამოსილება გაიგრძელა. ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება ძალადობა ხელისუფლების მხრიდან, რაც ავტორიტარიზმის პირდაპირი ნიშანია და რას აკეთებს ამ დროს ხალხი? ძალაუფლების უზურპაციის ნებელობით დათმობას ელოდება თუ თავად იწყებს ამ ძალაუფლების ხელში აღებას და უკან გამოთხოვას?

*— ბოლო დღეებია ხშირად საუბრობენ ტუნისის და ეგვიპტის სცენარის საქართველოში განმეორებაზე და მოსალოდნელ რევოლუციაზე, ელით პროცესების გამწვავებას, გამოვა ხალხი ქუჩაში?*

— არაბული ქვეყნების რევოლუციების ტალღა გაცდა თავად არაბულ სამყაროს და ევროპაშიც შემოიჭრა. თითქმის ყველა ქვეყანაში იწყება გამოსვლები სხვადასხვა მოთხოვნებით და ხალხი ცვლილებებს ითხოვს. შეუძლებელია, რომ ქართველი ხალხი, რომელიც ბოლო 3 წელია ითხოვს ცვლილებებს, ამ ერთიან ციკლში არ აღმოჩნდეს. მართალია, ხალხის განწყობა აპათიურია, მაგრამ ვფიქრობ, პროცესები თავისთავად განვითარდება. ხალხის განწყობა რომ აპათიურია, ეს იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ხელისუფლება ეწევა. აქ ოპოზიციის დისკრედიტაციას ვგულისხმობ, რომელიც ხელისუფლებამ მოახდინა.

*— ხალხის განწყობა, რომ აპათიურია, ეს ოპოზიციის ბრალიცაა, არ მეთანხმებით?*

— ნაწილობრივ ოპოზიციის ბრალიცაა, თუმცა, ეს მაინც ხელისუფლების დამსახურებაა, რისთვისაც პროპაგანდისტულმა მანქანებმა ბევრი იმუშავეს. ხელისუფლებას მედია, ფინანსური რესურსი და აბსოლუტურად ყველაფერი ხელთ უპყრია. მათ ოპოზიცია განაიარაღეს და ასეთ ვითარებაში რთული იყო, ის რომ ოპოზიცია გადარჩენილიყო. მე ახლა პასუხისმგებლობას საზოგადოებაზე გადავიტანდი, რომელიც ყველგან და ყოველთვის იყო და არის პოლიტიკის მთავარი წარმმართველი. იერინგი, ცნობილი მოაზროვნე ამბობდა: ხალხი, რომელიც არ იბრძვის თავისი უფლებებისთვის, კარგავს არსებობის უფლებას.

*— ხალხი იბრძოდა კიდეც თავისი უფლებებისთვის, ქუჩაში არაერთხელ გამოვიდა, თუმცა...*

— თუ არ მოგწონს ეს ოპოზიცია თავზე არავინ გახვევს ხომ. მე თუ არ მომწონს რომელიმე ოპოზიციონერი, გულღიად ვეუბნები მას ამას, ვუთხარი კიდეც, მაგრამ ბრძოლა არავის მოწონება-არ მოწონების და გაბრაზების გამო არ შემიწყვეტია და ვფიქრობ, რომ ხალხმა სამართლიანობისთვის და თავისი უფლებებისთვის ბრძოლა არავის და არაფრის გამო არ უნდა შეწყვიტოს.

*— კი, მაგრამ ხალხს ლიდერი სჭირდება, რომელთან ერთადაც გამოვა გარეთ და თავისი უფლებებისთვის, იმ ცვლილებებისთვის, რომელიც სურს და უკეთესი მომავლისთვის ბოლომდე იბრძოლებს, გეგულებათ დღეს ოპოზიციურ სპექტრში ადამიანი, რომელსაც ხალხი ენდობა და ამ ყველაფრის განსახორციელებლად ბრძოლას მასთან ერთად დაიწყებს?*

— გეთანხმებით, მაორგანიზებელი ძალა ხალხს სჭირდება, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ ის, მაინცდამაინც, პოლიტიკოსი იყოს. განსაკუთრებით ფრთხილად მოვეკიდებოდი იმ ლიდერებს, რომლებიც ხელისუფლებაში ერთხელ უკვე იყვნენ და ვნახეთ ისინი, რისი გამკეთებლებიც არიან. ასპარეზი უნდა დავუთმოთ საზოგადოებრივ ლიდერებს, ანუ იმ ხალხს, რომელიც ყოველთვის იბრძოდა სამართლიანობისთვის და ასეთი ადამიანები დღეს, ნამდვილად, არსებობენ. გვყავს რეზო ესაძე, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, მინდია უგრეხელიძე, დავით მაღრაძე და სხვა მრავალი სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანი. ასე რომ, მაორგანიზებელი ჯგუფები არსებობენ და ახლა, მთავარია საზოგადოებას უნდოდეს, რომ იყოს აქტიური. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომელ ლიდერზეც არ უნდა გავნაწყენდეთ, ბრძოლა არ უნდა შევწყვიტოთ. რაც შეეხება ბოლოდროინდელ საუბრებს რევოლუციის შესახებ, იცით, არ შეიძლება, რომ რომელიმე ჭკუათმყოფელს რევოლუციის მოწყობა უნდოდეს, ან რევოლუცია ენატრებოდეს, უბრალოდ, ისინი ხედავენ, რომ სხვა გამოსავალი არ არის და იმიტომაც საუბრობენ რევოლუციაზე.

*— ოპოზიციის მხრიდან ამგვარი განცხადებები არაერთხელ მოგვისმენია, თუმცა, კონკრეტული შედეგი არ დამდგარა და უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, დღესაც ეს განცხადებები მხოლოდ განცხადება განცხადებისთვის ხომ არ კეთდება, თუ ისინი რეალურად აპირებენ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ?*

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ცოტა ღიმილის მომგვრელია იმ ხალხისგან იმ სიტყვის ხმარება, რომელიც ცოტა ხნის წინ ამ სიტყვას ჭირივით გაურბოდა და ოთახშიც კი ვერ წარმოთქვამდა. და დღეს კი მხოლოდ იმიტომ წარმოთქვამს, რომ გამოჩნდეს ხელისუფლებასთან რადიკალურად დაპირისპირებული და შეურიგებელი. მგონი, ეს ქმედებით უნდა დაამტკიცო და არა საუბრით. და ვხედავ, რომ დღეს არის მოქმედების პრობლემა. მე რევოლუციას არ დავაანონსებდი, უბრალოდ, მოქმედებას დავიწყებდი. რევოლუციას ყოველთვის იწვევს ხელისუფლება და ამ პროცესს ბუნებრივი მოცემულობა ქმნის, ანუ როდესაც გაუსაძლისი ხდება ყოფა და იწყება ძალაუფლების ხალხის მიერ ხელში აღება. ჩემი აზრით, ახლა, საჭიროა გამოჩნდეს სამოქალაქო ისეთი ტიპის ერთობა, ან სამოქალაქო პოლიტიკური ძალების ერთობა, რომელიც იქნება ადეკვატური ლაპარაკის დროს ლაპარაკის, ბრძოლის დროს ბრძოლის და აიღებს იმის პასუხისმგებლობას, რომ პროცესებზე თავად მოახდინოს გავლენა. აი, ამ ტიპის ჯგუფის გამოჩენაა დღეს საჭირო.

*— და ხედავთ ამ ტიპის ჯგუფს, ვინ არიან ისინი?*

— ვხედავ კონტურებს. ასეთი ტიპის ძალების მოკრება უნდა მოხდეს, მეტს ვერაფერს გეტყვით.

*— კულუარებში საუბრობენ, რომ ბესელია შესაძლოა კუკავას „თავისუფალ საქართველოში“ ვიხილოთო, ამაზე რას იტყვით, ვისთან აწარმოებთ კონსულტაციებს და „სახალხო კრების“ საქმიანობაში კვლავ აქტიურად ჩართვას ხომ არ გეგმავთ?*

— „თავისუფალი საქართველო“ ჯერ არ არის პარტია. მე კახა კუკავასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და მივიჩნევ, რომ კახა ჭკვიანი ადამიანი და კარგი პოლიტიკოსია. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, გეტყვით, რომ დღეს არც ერთ პარტიაში შესვლის სურვილი არ მაქვს. მე ვიფიქრებდი ისეთი ტიპის პროცესებში ჩართვაზე, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლას გააერთიანებს და ხალხის ნებას აღასრულებს. რაც შეეხება „სახალხო კრებას“, კრების იდეას დღემდე მხარს ვუჭერ. თუ „სახალხო კრების“ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი დაიწყება, ბუნებრივია, იმ პროცესში ჩართული ვიქნები. იცით, არ შემიძლია რაღაც პარტიულ საბჭოებზე დასწრება, ეს წარსულის გადმონაშთებს მაგონებს. ხალხის სახელით არჩეული აღმასრულებელი საბჭო, რომლის წევრიც მე ვარ, მოქმედებას თუ დაიწყებს, ბუნებრივია, ამ პროცესში აქტიურად ვიქნები ჩართული.

**ქეთი ხომერიკი**

# თემურ შაშიაშვილს ემუქრებიან

## რა წერილი მისწერა „თეთრების“ ლიდერმა ამერიკის ელჩს



**თეა მარხვაიძე**

ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლების მხრიდან ყურადღებით აშკარად განებივრებული არიან. არც ერთი მათგანი თავს კომფორტულად არ გრძნობს თუ ახლო-მახლო პირად დაცვასავით სათანადო სტრუქტურის წარმომადგენლები არ დაჰყვებიან.

ამის გარდა ხელისუფლება ოპონენტებს სხვა ყურადღებასაც არ აკლებს. ოპოზიციის ლიდერები სატელეფონო მუქარებსაც ხშირად ღებულობენ. ამასთან დაკავშირებით განცხადება ბევრმა ოპოზიციონერმა გააკეთა.

ბოლო დროს „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ძალიან მწვავე განცხადებებს აკეთებს და როგორც სხვა ოპოზიციონერებს, მასაც მიუვიდა რამდენიმე მტშ (მოკლე ტექსტური შეტყობინება).

თეთრების ლიდერმა წარმოადგინა ის მესიჯები, რაც მის ტელეფონზე მოდის. საინტერესოა, რომ ის ვიღაცა მესიჯებს დილით ადრე აგზავნის.

5 მარტს დილის 6 საათსა და 59 წუთზე შაშიაშვილს შემდეგი შინაარსის მესიჯი მიუვიდა:„შვილებს ამოგიწყვიტავენ და შენ ციხეში ჩაგალპობს პრეზიდენტი, სიკვდილი გისმენს და გელოდება“.

— ეს შეტყობინება მივიღე 5 მარტს, დილის 6 საათსა და 59 წუთზე. მთელი დღის განმავლობაში მრავალჯერ ავკრიფე ტელეფონი, ვიღებდი ორი სახის პასუხს: ასეთი ტელეფონი რეგისტრირებული არ არის ან გასულია ზონიდან, დარეკეთ მოგვიანებით, — ამბობს შაშიაშვილი.

ამის შემდეგ შაშიაშვილმა გადაწყვიტა, თავადაც გაეგზავნა პასუხი.

— ისეთი ზნეობის ადამიანებს, როგორიც თქვენ ხართ, ნამდვილად არ ვიცნობ და ეს ჩემი ბედნიერებაა, თქვენ ზუსტად ისეთი ხართ, როგორიც სხვა გგონიათ, — ასეთია შაშიაშვილის მესიჯი.

იმ ვიღაცისგან პასუხი დაახლობით 20 წუთში მიიღო „თეთრების“ ლიდერმა.

— შენ ამოგბუგავენ, ვერავინ და ვერაფერი ვერ გიშველით, — მოიწერა იმან.

ამის შემდეგ შაშიაშვილი შეეცადა ამომბუგავის ხმა გაეგონა. გადარეკა, მაგრამ როგორც თავად იხსენებს, ისევ იგივე პასუხი მიიღო: „ასეთი ტელეფონი არ არის რეგისტრირებული... გასულია ზონიდან, დარეკეთ მოგვიანებით“.

დარეკვით არ დაურეკავს, მაგრამ მესიჯი გააგზავნა შემდეგი ტექსტით: „ტელეფონს რომ არ პასუხობ და საუბრის გეშინია, ადასტურებ, რომ მკვლელი ხარ, შენი ტელეფონი და სმს-ები 10 სხვადასხვა მისამართზე გაიგზავნა“.

იმ ვიღაცისგან პასუხი მალევე მოვიდა. პასუხი შემდეგი შინაარსისაა: „შენ გიპასუხებს სიკვდილი, მეტი არაფერი და არავინ“.

შაშიაშვილმა ვერც მესამედ მოახერხა დარეკვა და ისევ მტშ გააგზავნა.

— მე სიკვდილის არ მეშინია, დღეს შენდობისა და პატიების დღეა, თქვენ თქვენი წერილებით მკვლელი ხართ, ღმერთმა შეგინდოთ, მე ამ ქვეყანაზე არავისი სიკვდილი არ მინდა — არც შენნაირი მტრების, — მისწერა შაშიაშვილმა ვიღაცას.

7 მარტს, ღამის 03:36 საათზე, შაშიაშვილმა ტელეფონზე მიიღო შეტყობინება: „ჯერ თუ არ ხართ ამოწყვეტილი, მალე ამოწყდებით. ამ კარტას ვაგდებ, არავინ დაგაყენებთ დედამიწაზე“.

როგორც შაშიაშვილი ამბობს, მსგავსი შეტყობინებები უკანასკნელ პერიოდში მიღებულია ხუთი სხვადასხვა ტელეფონიდან. დაფარულ სატელეფონო ზარებს თვლა არ აქვს. შეტყობინებებში და სატელეფონო საუბრებში მუქარის გარდა არის წარმოუდგენელი ლანძღვა-გინება.

ვიდრე ის ვიღაცა თუ ვიღაცეები სმს-ების ახალ ტექსტებს წერდნენ, შაშიაშვილმა ამერი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# აპრილიდან ფასები ისევ მოიმატებს

ნანა მიშელაშვილი

პენსიების თემა საპარლამენტო ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის კამათის მიზეზი გახდა. თბილისსა და რეგიონებში პენსია 100 ლარი 1 სექტემბრიდან გახდება. სწორედ ამ საკითხზე კამათობდნენ დეპუტატები და ერთმანეთს სხვადასხვა ეპითეტებით ამკობდნენ.

კამათი მას შემდეგ დაიწყო, რაც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილმა მნიშვნელოვანი უწოდა პრეზიდენტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ 1 სექტემბრიდან პენსია 100 ლარი იქნება. მელიქიშვილის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ინფლაციით გამოწვეული შედეგების შემსუბუქების ღონისძიებები მიმდინარეობს. ზურაბ მელიქიშვილმა სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

— ის ერთგვარი დისბალანსი, რომელიც რეგიონებში იყო, აღმოიფხვრება. რეგიონების პენსიონერებს პენსია 20 ლარით გაეზრდებათ, დედაქალაქის კი — 10 ლარით, — განაცხადა მელიქიშვილმა და იქვე დასძინა, რომ ეს გადაწყვეტილება არ გაზრდის ბიუჯეტში დეფიციტს.

მელიქიშვილის თქმით, პარლამენტი მთავრობისგან ელოდება სრულფასოვან საპენსიო პაკეტის პროექტს, რომელიც 100-დოლარიან პენსიას გულისხმობს.

მას შემდეგ, რაც მელიქიშვილის განცხადება მოისმინეს, განცხადება გააკეთეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა. პარლამენტში „საპენსიო ქარიშხალი“ სწორედ ამის შემდეგ ამოვარდა.

„ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე 100-ლარიან პენსიაზე საუბრისას, ხელისუფლებას სოციალური უთანასწორობის პრობლემას ახსენებს. ლევან ვეფხვაძის განმარტებით, ირკვევა, რომ პენსია ემატებათ მხოლოდ ასაკით პენსიონერებს და არა ინვალიდებს.

— ჩაიხედეთ ციფრებში, იქნებ მათთვისაც შეგიძლიათ პენსიის გაზრდა, — მიმართა ვეფხვაძემ ხელისუფლების წარმომადგენლებს. მისივე თქმით, ხელისუფლების გადაწყვეტილებას პენსიის 100 ლარამდე გაზრდის შესახებ ნეგატიური მხარეც აქვს და პოზიტიურიც და თუ ხელისუფლება ინვალიდებსაც მოუმატებს პენსიას, მაშინ ექნებათ მოსახლეობისთვის მილოცვის უფლება.

ვეფხვაძემ მმართველი პარტიის წევრებს შეკითხვაც დაუსვა: ხელისუფლება პენსიონერებს დაჰპირდა, რომ 1 სექტემბრიდან პენსიას 100 ლარამდე გაუზრდის, მაგრამ საინტერესოა,



რას უპირებს ხელისუფლება მათ 1 სექტემბრამდე?

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის თქმით, ქვეყანაში პრობლემა სწორედ აპრილ-მაისში ექნება, როდესაც ფასები კიდევ მოიმატებს.

— თქვენ მოქმედებთ მეხანძრის პრინციპით, ცდილობთ ჩააქროთ ხანძარი, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამასაც ვერ ახერხებთ. თქვენ ვერ ახერხებთ პენსიონერებს შეეხიდოთ ყველაზე კრიტიკულ პერიოდში აპრილ-მაისში, როდესაც ფასები გაიზრდება, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ „რისხვა“ მინისტრებსაც დაატყდა თავს. ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, რომ მინისტრებს უნდა რცხვენოდეთ, როცა 20-ლარიან ენერგოვაუჩერს სოციალურად შეჭივრებულ და თვალზე ცრემლმომდგარ ადამიანს ტელეკამერების წინაშე აძლევენ.

— მინისტრს ეს არ უნდა ეამაყებოდეს და 20-ლარიანი ვაუჩერის კამერების თანხლებით გადასაცემად, მანქანაში 100 ლარის ბენზინს არ უნდა ასხამდეს, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ. მისივე თქმით, როცა 20-ლარიან დახმარებაზე ადამიანს თვალზე ცრემლი ადგება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა სიღატაკეში ცხოვრობს.

ვეფხვაძის ამ განცხადების შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობა დაინტერესდა, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ვის გადასცეს საკუთარი ენერგოვაუჩერები, რასაც პასუხი დეპუტატმა მაგდა ანიკაშვილმა გასცა.

ანიკაშვილმა აღნიშნა, რომ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ კუთვნილი ენერგოვაუჩერები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლს გადასცეს, თუმცა, ეს ტელეკამერების თანდასწრების გარეშე გააკეთეს და რომ არა უმრავლესობის წევრების შეკითხვა, ისინი ამ საკითხზე საუბარს არც აპირებდნენ.

კამათი ამით არ ამოწურულა. საქმეში ჯონდი ბაღათურია ჩაერთო. უკვე მეორეჯერ ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმცირესობის მისამართით პრეტენზიებს გამოთქვამს ჯონდი ბაღათურია.

„ქართული დასის“ ლიდერი უკმაყოფილია იმითაც, რომ მისი გამოსვლები არ შუქდება და სატელევიზიო „პერებივკებშიც“ კი არ ჩანს მისი კადრები.

— ბატონებო, თქვენ მართალა გგონიათ, რომ თუ რაიმე რეალურ პრობლემას არ გააშუქებთ და სირაქლემასავით სილაში თავს ჩარგავთ, ამით პრობლემა რეალურად გადაწყდება? ან თქვენ მართლა გგონიათ, რომ თუკი რომელიმე ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგა გამოვა ევრიპიდეს დროინდელი ტრაგიკომედიის ჟანრში და ისტერიული შეძახილით რაღაც კაზუისტიკურ დავას რეგლამენტთან დაკავშირებით გამართავს და ამას ვრცლად გავაშუქებთ, ამით ვინმეს მოვატყუებთ, რომ პარლამენტში დემოკრატია გვაქვს? — იკითხა ჯონდი ბაღათურიამ.

გაბრაზებულმა ბაღათურიამ უმრავლესობასა და უმცირესობას (რომლის წევრი ბაღათურია არ არის) დემოკრატობანას და სახლობანას თამაშის გამოც უსაყვედურა. მიანიშნა.

„ქართული დასის“ ლიდერმა სხდომათა დარბაზში პრეზიდენტის ხელმოწერილი დოკუმენტი ააფრიალა. ბაღათურიას თქმით, პრეზიდენტი ხელს აწერს, რომ 2009 წელს პენსია 100 დოლარი გახდება.

— სიტყვა სიტყვა უნდა იყოს, 2 წელი გავიდა და ეს არ შესრულებულა, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა მოითხოვა, რომ 1 სექტემბერს კი არ დაელოდონ დაახლავე მიიღონ გადაწყვეტილება, რათა პენსია საარსებო მინიმუმამდე გაიზარდოს.

— მოსახლეობას იმას კი ნუ ეტყვით, რომ სექტემრიდან 10 ლარს დაგიმატებთ, ახლავე მიიღეთ გადაწყვეტილება საარსებო მინიმუმადე პენსიის გაზრდის. მართლა ვინმეს ჰგონია, რომ მსოფლიოში ფასები გაიზრდა და აქ არ არის ელიტარული კორუფცია და სპეკუალიციური ფასები? არაგვის დინებამ გააძვირა ფასები, ან დასუფთავების ფასები რომ მოიმატა, ესეც მსოფლიომ გააძვირა? — იკითხა ბაღათურიამ.

საპენსიო თემაზე განცხადება პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმაც გააკეთა.

— ჩვენი გზა არის ჩამოყალიბებული საპენსიო რეფორმა. 5 წლის განმავლობაში ძალიან დიდი დებატები მიდის ხელისუფლების შიგნით რა მოდელი უნდა იქნეს არჩეული. მე ვფიქრობ, ახლა ხელისუფლებას აღარ აქვს ფუფუნება, გააგრძელოს ეს დებატები. ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

ვიცე-სპიკერმა ოპოზიციას მოუწოდა, ერთად გააანალიზონ ეს საკითხი და ერთად იმუშაონ. ოპოზიცია საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმაც გააკრიტიკა. მან ოპოზიცია პოპულიზმში „გამოიჭირა“. ცისკარიშვილმა ოპოზიციას შეკითხვაც დაუსვა: 80 ლარს 100 ლარი ჯობია თუ არა?

ცისკარიშვილმა ოპოზიციას შეახსენა, რომ ისინი პენსიის გაზრდის საკითხზე ადრე საუბრობდნენ, ახლა კი, როცა სახსრები გამოინახა, გამოდიან და ქილიკობენ.

— ამას აღარც პოპულიზმი ჰქვია, არამედ ეს არის გაუგებარი აბსურდის თეატრი. კარგად გაკეთებულ საქმეებს არქმევენ ცუდ სახელებს და პენსიის ზრდას არქმევენ ინდექსაციას. რაც გინდა, ის დაარქვით, 80 ლარს 100 ლარი სჯობია თუ არა, ამაზე გაგვეცით პასუხი. ჩვენ კი არ ვულოცავთ არავის არაფერს, არამედ ამას მივესლამებით, — უთხრა ცისკარიშვილმა საპარლამენტო ოპოზიციას.

უმრავლესობის ლიდერმა იმედი გამოთქვა, რომ პენსიის ზრდა არ გამოიწვევს ქვეყანაში ინფლაციის გენერირებას, რაც სამწუხაროდ, თან დევს მსგავს პროცესებს.

ცისკარიშვილს გიორგი ახვლედიანმა უპასუხა. ფარქციის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ოპოზიციიდან არავის არ უთქვამს, რომ პენსიის ზრდა ცუდია.

— არავის ერთი სიტყვა არ დასცდენია, რომ 10-20-ლარიანი ზრდა არ არის წინგადადგმული ნაბიჯი, მაგრამ, აქ საუბარია იმაზე, რომ ძალიან ძნელია ადამიანებს მადლობა მოსთხოვო იმ საქციელისთვის, როდესაც ერთი ხელით ჯერ აგურს ჩაარტყამ თავში და შემდეგ მეორე ხელით მოფერებას დაუწყებ. თან ამ მოფერებისთვის მადლობის გადახდას მოსთხოვ. ეს არის სერიოზული უსამართლობა, — ხურდა დაუბრუნა გიორგი ახვლედიანმა უმრავლესობის წევრებს.

საათ-ნახევრიანი კამათის შემდეგ, მოკამათე მხარეები დამშვიდნენ და მუშაობას შეუდგნენ.

# როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ რუსეთთან



ნანა მიშელაშვილი

საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას მოუწოდებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების პროცესში ადეკვატური პოზიციები დაიკაოს.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას სთავაზობს, რომ ვმო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს პოზიცია არც ძალიან ხისტი იყოს და არც ძალიან დამთმობი.

გიორგი თარგამაძეს ესმის თუ რამდენად რთული იქნება ქართული დელეგაციისთვის იმ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა, რომელიც ოკუპირებული ქვეყნის დელეგაციას აუცილებლად ექნება რუსეთის წამომადგენლებთან.

გიორგი თარგამაძის თქმით, თავის დროზე „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ეროვნული უშიშროების საბჭოს კონკრეტული წინადადებები წარუდგინეს ვმო-ში რუსეთის ფედერაციის გაწევრიანების პირობებთან დაკავშირებით. ამ წინადადებების დეტალებზე თარგამაძემ პარლამენტის ღია სხდომაზე საუბარი საჭიროდ არ ჩათვალა და მხოლოდ ის განაცხადა, საქართველოს უნდა ჰქონდეს არც ზედმეტად ხისტი და არც ზედმეტად დამთმობი პოზიცია საიმისოდ, რომ დაცული იყოს საქართველოს ეროვნული ინტერესები.

— აუცილებელია, ერთის მხრივ, ჩვენი ეროვნული ინტერესების გათვალიწინება, საბაჟო საზღვრების ზუსტი დადგენა და კონტროლი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, მათ შორის მოლდოვას პრეცედენტის გათვალისწინებით. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ მიერ დაყენებული მოთხოვნა, ფსოუზე თუ როკის გვირაბზე ქართველები მესაზღვრების ჩაყენების, ამ ეტაპზე, შეიძლება გამოიყურებოდეს არარეალაურად, ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამ მიმართულებით კომპრომისული ნაბიჯების გადასადგემელად, რომელიც წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან, — განაცხადა თარგამაძემ.

საქართველო, 12 წელია, რაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია. რუსეთს ამ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად საქართველოს თანხმობა სჭირდება.

ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებს პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანიც გამოეხმაურა.

— ჩვენ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე როდესაც მივდივართ, მართლები ვართ. ჩვენი პოზიცია არის ნორმალური და სამართლიანი. ძალიან გთხოვთ, რადიკალური განცხადებებით ნუ უჭრით ხელისუფლებას გზას და იმ ადამიანებს, ვინც მოლაპარაკებაზე მიდის, ისაუბროს სიმართლე, — მიმართა მიხეილ მაჭავარიანმა ოპოზიციას.

ვიცე-სპიკერის თქმით, ქართული მხარე მზად არის დიალოგისთვის, ქართულ მხარეს თავისი პოზიციები აქვს, რაზეც ისაუბრებს ხელისუფლება.

— ჩვენი პოზიცია სამართლიანი პოზიციაა და ჩვენ ამ გაცნობიერებული პოზიციით მივდივართ რუსეთთან სალაპარაკოდ, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

ბერნში დაგეგმილ მოლაპარაკების თემას უმრავლესობის ლიდერიც გამოეხმაურა. პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, საქართველო არანაირ დათმობაზე არ უნდა წავიდეს, ამაზე საუბარი უადგილო და მიუღებელია.

— რუსეთი არა მხოლოდ ოკუპანტია, ის სახელმწიფოა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მიწები მიიტაცა და ნახევარი მილიონი დევნილი გვყავს მათი სამხედრო შემოჭრის შედეგად, ჩვენი სოფლები და ქალაქები დაანგრია, მიწასთან გაასწორა და ტყეები გადაგვიწვა, არამედ, სანამ 2008 წლის კონფლიქტი იქნებოდა, რუსეთი იყო ქვეყანა, რომელმაც ცალმხრივად შემოიღო ქართულ პროდუქციაზე ემბარგო. ილუზიები იმის შესახებ, რომ ჩვენი პროდუქტები თავისუფლად გავა რუსეთში, მე მგონი, დროული არ არის და უადგილოა ამაზე საუბარი, — აღნიშნა ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერმა განმარტა, რომ ბერნში გამართული მოლაპარაკება დღის წესრიგის ჩამოყალიბებას შეეხება და არამც და არამც პრინციპულ და შინაარსობრივ საკითხებს. პეტრე ცისკარიშვილის თქმით, ეს არის კონსულტაციები იმისთვის, რომ დღის წესრიგი შედგეს, თუ რა თემებზე იქნება მომავალში საუბარი.

საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციას ხელისუფლების „ჭრელო პეპელას“□ მდგომარეობაში ჩაყენების მცდელობის გამო საყვედურობს. უმცირესობის ლიდერის გიორგი თარაგამაძის განცხადებას, ურმავლესობის წევრი აკაკი ბობოხიძე გამოეხმაურა.

აკაკი ბობოხიძეს ესმის, რომ თარგამაძეს სურს საქართველოს დელეგაციის პოზიციები არ იყოს არც ძალიან ხისტი და არც ძალიან დამთმობი, მაგრამ აინტერესებს, სად გადის ზღვარი ძალიან სიხისტესა და ძალიან დათმობას შორის.

აკაკი ბობოხიძე დარწმუნებულია, რომ რაც არ უნდა გადაწყვტოს საქართველოს დელეგაციამ, ქრისტიან-დემოკრატები ამას მაინც ან ძალიან ხისტ პოზიციად შეაფასებენ და ან ძალიან დამთმობად.

— ოპოზიცია ცდილობს, ხელისუფლება ჩააყენოს ნურც გაფრინდების და მოფრინდების პოზიციაში, — აღნიშნა ბობოხიძემ.

# თემურ შაშიაშვილს ემუქრებიან

დასაწყისი მე-5 გვერდზე

კის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში მისწერა წერილი. თეთრების ლიდერი ბასისგან დახმარებას ითხოვს. ოღონდ მუქარის გამო არა. „თეთრებს“ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება აინტერესებთ.

— საუბარია საქართველოს მიერ აზერბაიჯანულ მხარესთან აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის მოწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულების საჯაროდ გამოქვეყნებაზე, რადგან საზოგადოებაში არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ ბუნებრივი აირის მოქმედი ტარიფები საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელოვნურად გაზრდილია — 510 ლარი 1000 კუბური მეტრი. ეს მით უფრო საეჭვოა, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით 2002 წელს ხელმოწერილი შეთანხმებებით საქართველო 1 მილიარდზე მეტ კუბურ მეტრ გაზს, ანუ ქვეყნისათვის საჭირო რაოდენობის 75-80 პროცენტს იღებს პრაქტიკულად უფასოდ — 27 დოლარად 100 კუბურ მეტრს. გამოდის, რომ გაზი, რომლის კუბური მეტრის თვითღირებულება 5 თეთრის ფარგლებშია, მოსახლეობასა და მეწარმეებს მიეწოდება 51 თეთრად, — წერს შაშიაშვილი ამერიკის ელჩს.

მისი აზრით, საქართველომ, მისმა დღევანდელმა მთავრობამ ვერ ან არ გამოიყენა ის დიდი შესაძლებლობები, რომელიც ქვეყანამ მიიღო ისეთი მეგაპროექტის განხორციელებისაგან, როგორიცაა გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმი.

— თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენი მაღალი ავტორიტეტი და რეკომენდაცია მისცეთ საქართველოს მთავრობას, ხელმისაწვდომი (საჯარო) გახადოს ბუნებრივი აირის მოწოდებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანულ მხარესთან გაფორმებული ყველა შეთანხმება და ხელშეკრულება. ამით თქვენ ნამდვილად დაეხმარებით საქართველოს მოსახლეობას არა მხოლოდ ზუსტი ინფორმაციის მიღებასა და სამართლიანი ტარიფების დადგენაში, არამედ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესშიც, — სთხოვს თეთრების ლიდერი ამერიკის ელჩს.

# პარლამენტში მინისტრების კვირეული გამართება

ნანა მიშელაშვილი

**ერთი კვირის განმავლობაში პარლამენტში მინისტრები ივლიან. მთავრობის წევრებთან დებატებს მთელი კვირა დაეთმობა. გუშინ ოპოზიცია და უმრავლესობა იმ ფორმატზე სასაუბროდ შეიკრიბა, რომელიც მინისტრების პარლამენტში მისვლას უკავშირდება.**

დახურული კონსულტაციების შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ოპოზიცია და უმრავლესობა უპრეცედენტო ფორმატზე შეთანხმდა. ბაქრაძის თქმით, მთელი კვირა დაეთმობა მინისტრთა კაბინეტის მოსმენას და ეს კვირა საგანგებო პლენარული კვირა იქნება, რომლის დღის წესრიგის ერთდაერთი საკითხი მთავრობის მოსმენა იქნება.

პარლამენტში საგანგებო კვირას პრემიერ-მინისტრი გახსნის, სხდომები ოთხ დღეს გაგრძელდება. პარლამენტში ყველა მინისტრი მივა და ერთ დღეს დაახლოებით სამ მინისტრს მოუსმენენ.

დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ დეპუტატების წინადადება იყო მინისტრთა კაბინეტის მოსმენის შემდეგ, დამატებითი მოსმენები მოხდეს მინისტრებისა საზოგადოებისთვის აქტიურ თემებზე — სოციალურ საკითხებზე, ფასების ზრდაზე, ინფლაციაზე, დასაქმებაზე. ამ თემებზე ცალკეულ მინისტრებთან დამატებითი პოლიტიკური დებატები შედგება.

რაც შეეხება საგანგებო კვირის გამართვის დროს, ბაქრაძის განცხადებით, დამატებითი შეხვედრა შედგება პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურთან. სავარაუდოდ, მინისტრები პარლამენტში მარტის ბოლომდე მივლენ.

ბაქრაძემ ისიც აღნიშნა, რომ ეს პრეცედენტი შეიძლება არ იყოს ერთჯერადი და თუ დებატები მომზადებულად და ხარისხიანად ჩაივლის, შეიძლება დებატები სხვა დროსაც შედგეს.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის განმარტებით, მთავარი ამოცანაა, საზოგადოებამ გაარკვიოს სად აქვს ხარვეზები მთავრობას მუშაობაში და რა აქვს გამოსასწორებელი.

გიორგი თარგამაძის განცხადებით, პარლამენტიც და საზოგადოებაც მოისმენენ პრემიერ-მინისტრის ანგარიშს მთავრობის ძირითადად მიმართულებებზე, დარგობრივ მინისტრებთან კი ოპოზიციას არა მხოლოდ შეკითხვები ექნება, არამედ შეფასებების გაკეთების საშუალებაც. — ქრისტიან-დემოკრატები პრიორიტეტად მივიჩნევთ სოფლის მეურნეობის დარგში გასატარებელ ღონისძიებებს, ინფლაციას, პენსიებს, ჯანდაცვის სისტემას, პრობლემებს, რომელიც აქვთ ჩვენს დევნილებს. პირველ ეტაპზე, ჩვენ გვსურს, რომ ამ დარგის მინისტრები დავიბაროთ. ხშირად ვხდებით მოწმენი იმისა, რომ მთავრობა ლაპარაკობს ერთს, შემოაქვს ერთი საბიუჯეტო პრიორიტეტი და წლის განმავლობაში ეს პრიორიტეტები რამდენჯერმე იცვლება. აუცილებელია მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდეთ, — ასეთია გიორგი თარგამაძის პოზიცია.

საპარლამენტო ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე გია თორთლაძე კი ხაზს უსვამს, რომ დეპუტატებს შეეძლებათ პრაქტიკულად ყველა მინისტრს დაუსვან კითხვა და დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. — ეს არის ახალი ფორმატი, ასეთი ინტენსივობით მინისტრები არასოდეს მოსულან პარლამენტში და ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა თორთლაძემ.

# ოპოზიციის იმიჯი კიდევ უფრო ილახება

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ბატონო გიორგი, ექსპერტთა ნაწილი ბერნის მოლაპარაკებებისაგან რეალურ შედეგს არ ელის, თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად შესრულებადია ქართული მხარის მიერ დასმული საკითხები?***

— თუ გადავხედავთ რუსულ მედიასაშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, ბაიდენის ვიზიტისაგან მნიშვნელოვან შედეგებს ელიან, კონკრეტულად კი იმას, რომ ამერიკა საქართველოზე მოახდენს ზეწოლას, რათა მხარი დაუჭიროს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. როგორც ჩანს, ძირითადი პრინციპი ამ მოლაპარაკებების არის ის, რომ ამერიკის ლობირების შედეგდა საქართველო მხარს დაჭერს რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას. რეალობა არის ის, რომ საქართველოს რუსეთთან აქვს უამრავი საკითხი, რომელიც მოგვარებას საჭიროებს. პირველ რიგში დგას საქართველოს დეოკუპაციის საკითხი. რაც შეეხება საკითხს, რომელსაც ქართული მხარე დააყენებს სხვადასხვა მიზეზის გამო, ვფიქრობ, რომ ამ წინადადებაზე რუსეთი არ წამოვა. მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს და ამ მოლაპარაკებებში ყველაზე რეალურია ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის გახსნის საკითხის დაყენება, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს პრემიერ-მინისტრის აპარატი, ვფიქრობ, რომ ბევრს არაფერს უნდა ველოდოთ, მაგრამ არ გამოვრიცხავ იმ ფაქტს, რომ რუსეთმა ქართული ღვინო, ბორჯომი, ციტრუსები დაუშვას რუსეთის ბაზარზე, მით უმეტეს, რომ ამ შეხვედრას წინ უსწრებდა რუსეთის მთავარი სანიტარის გენადი ონიშენკოს განცხადება, რომ ისინი არ გამორიცხავენ რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებას, ფაქტია, რომ რუსებს სწორედ აქეთ მიჰყავთ სიტუაცია. მე, რა თქმა უნდა, ამ კუთხით მოლაპარაკებების წარმართვას ვეთანხმები, მე არც ხელისუფლების წინადადებებზე მაქვს რაიმე საწინააღმდეგო, მაგრამ ვფიქრობ, რომ როდესაც ასეთი მნიშვნელობის მოლაპარაკებებს აწარმოებ, უნდა გაითვალისწინო, რამდენად რეალური და შესრულებადია ეს წინადადებები, თუმცა, როდესაც მხარეები ჯდებიან მოლაპარაკების მაგიდასთან, იქ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. საერთო ჯამში მე ამ მოლაპარაკებების დაწყებას დადებითად ვაფასებ და გარკვეულ დადებით შედეგებსაც ველოდები, რუსეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითის დადებითად გადაწყვეტა, მაგრამ ძალიან მეეჭვება, ქართული მხარის მიერ დაყენებული საკითხი დადებითად იქნეს გადაწყვეტილი.

***— იმ შეთხვევაში თუ ვერ მოხერხდება შეთანხმება და ქართული მხარე მოახდენს საკითხის ბლოკირებას?***

— მე ვფიქრობ, რომ თუ რუსეთი არ დათანხმდა იმ ძირითად საკითხებს, რომელსაც ქართული მხარე პრინციპულად აყენებს, მოლაპარაკებები გარკველი შედეგის გარეშე დამთავრდება და რუსეთის გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაურკვეველი დროით გადაიდება. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ზოგიერთი ქვეყნის უკმაყოფილებას, მაგრამ საქართველოს აქვს პრობლემები, რომლის მოგვარებასაც ბუნებრივია ცდილობს და ყოველთვის ვერ იქნება ისე, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყნების გულის გასახარად იმოქმედოს.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ სამწლიანი პაუზის შემდეგ ეს შეხვედრა იქნება შემდგომში სხვა შეხვედრების და მოლაპარაკებების დასაწყისი?***

— არ არის გამორიცხული, რომ ეს მართლაც გახდეს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებების განახლების საფუძველი, რაც ნამდვილად საჭიროა, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. თუმცა, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილთან მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობას გამორიცხავს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საერთაშორისო ზეწოლა გრძელდება და რუსეთი ელოდა საკუთარი პოზიციების გამყარებას და აღიარებას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის, რაც ვერ მიიღო, არ არის გასმორიცხული, რომ რუსეთმა ეტაპობრივად დაიწყოს უკან დახევა, ამისათვის ჩვენი ხელისუფლების მხრიდან საჭიროა გონივრული და წინდახედული ნაბიჯები და არა შეცდომები.

***— ამ მომენტისათვის ქვეყანაში პოლიტიკური საკითხებზე მეტად წინ არის წამოწეული ეკონომიკური საკითხები, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას დღითიდღე ამწვავებს.***

— ქვეყანაში არის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდა კვების პაროდქტებზე ფასები, ქვეყანაში იმატა უმუშევრობამ, არ მოიმატა ხელფასებმა და პენსიებმა, ეს ყველაფერი ქმნის ნოყიერ ნიადაგს სოციალური აფეთქებისათვის. ასეთ ვითარებაში ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამონახოს ამ სიტუაციიდან გამოსავალი. ხალხი გამოვა ქუჩაში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასე ცხოვრება აღარ შეუძლია და ეკონომიკურ მოთხოვნებს უკვე მოჰყვება პოლიტიკური მოთხოვნებიც, რაც, ვფიქრობ, ხელისუფლებისათვის არცთუ სახარბიელოდ დამთავრდება. ხელისუფლება ამას კარგად აცნობიერებს, ეს ჩანს იქიდან, რომ დარიგდა ელექტოენერგიის ვაუჩერები და ახლა დაიწყო სასურსათო ვაუჩერების დარიგება, ასევე იგეგმება პენსიების ზრდა, თუმცა, ფაქტია, რომ ამ ყველაფრით საერთო სურათს ვერ შევცვლით, ამისათვის საჭიროა მკვეთრი და მოქნილი პოლიტიკის გატარება, რაც ადამიანებს საშუალებას მისცემს, გადალახოს ის მძიმე ეტაპი, რასაც ჰქვია მსოფლიო ეკონომიკრი კრიზისი, რომელიც საქართველოზეც აისახა. ვაუჩერების დარიგება, კარგად ვიცით, რომ საერთო მდგომარეობას ვერ გააჯანსაღებს, ამას კარგად აცნობიერებს ხელისუფლებაც და ამიტომ საჭიროა დაიწყოს რეალურად სიტუაციის გაჯანსაღება, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს გადასახადების შემცირებითა და სამუშაო ადგილების შექმნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი გამოვა ქუჩაში და მათი მოთხოვნები იქნება ძალიან მწვავე და კონკრეტული.

***— ხალხის ქუჩაში გამოსვლაზე საუბრობდნენ, როდესაც გაიფიცნენ სამარშრუტო ტაქსის მძღოლები, კეთდებოდა წინასწარი პროგნოზები, რომ ეს გამოსვლა იქნებოდა ფართო პროტესტის დასაწყისი, თუმცა, ამჯერადაც მცელობა წარუმატებელი გამოდგა...***

— როდესაც სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა დაიწყეს გამოსვლები, რა თქმა უნდა, ჩვენი პარტია იყო მათ მიმართ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

საქმე №2/12013-10

**განჩინება**

**საქართველოს სახელით**

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

07 დეკემბერი, 2010 წელი თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის**

**მოსამართლე შორენა ჯანხოთელი**

**მოსარჩელე:** ი/მ ვახტანგ გოგოლაძე-სავანელი

**მოპასუხე:** შპს „იშიქ ტრანსი"

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №12013-10 ი/მ ვახტანგ გოგოლაძე-სავანელის სარჩელისა გამო მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსის" მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელში მიუთითა, რომ 2009 წლის 16 სექტემბერს ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზის მე-15 კმ-ზე, ბორჯომის რაიონის დ.ახალდაბაში შპს „იშიქ ტრანსის" კუთვნილმა ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა მძღოლი ნოდარ ქამაშიძე, დაარღვია საავტომობილო მოძრაობის წესები, მოახდინა ავტოავარია, რის შედეგადაც დაზიანდა ი/მ ვახტანგ გოგოლაძე-სავანელის კუთვნილი სასტუმროს ტერიტორიის დამცავი მეტალის ღობე, რითაც მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი 6621.12 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ სარჩელის თანახმად მოითხოვა მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსისათვის" ზიანის ანაზღაურების დაკისრება 6621.12 ლარის ოდენობით.

საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი და თანდართული საბუთები მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსს" გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 137. გზავნილი სასამართლოში ბრუნდება შეტყობინებით, რომ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე არ მდებარეობს.

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ მიღებულ უნდა იქნეს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26.1 მუხლის მიხედვით, იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

დადგენილია, რომ მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსის" იურიდიული მისამართი არის ქ.თბილისის, დავით აღმაშენებლის გამზირი 137, მაგრამ აღნიშნულ მისამართზე მოპასუხე არ მდებარეობს და მისთვის გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა და, შესაბამისად, მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხეს ვერ ეცნობა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების შესახებ, მას უნდა ეცნობოს ამის შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით. შეტყობინება უნდა განხორციელდეს იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. ეცნობოს მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსს", რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელე ი/მ ვახტანგ გოგოლაძე-სავანელის მიერ აღძრულია სარჩელი მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსის" მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ 6621.12 ლარის ოდენობით;

2. სასამართლო განუმარტავს მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსს", რომ იგი ვალდებულია წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) საერთაშორისო ფონდი მნათობის სარჩელზე და წარმოადგინოს სასამართლოში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.№6) გზავნილის ჩაბარებიდან 07 (შვიდი) დღის ვადაში. სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში, სარჩელი მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს. შესაბამისად, მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსმა" სარჩელზე წერილობითი შესაგებელი სასამართლოში უნდა წარმოადგინოს საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან 07 დღის ვადაში;

3. მოპასუხე შპს „იშიქ ტრანსის" შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში;

4. განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გადაეგზავნოს მოსარჩელე ი/მ ვახტანგ გოგოლაძე-სავანელს;

5. საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა", გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება დაეკისროს მოსარჩელე ი/მ ვახტანგ გოგოლაძე-სავანელს, რომელსაც ასევე განემარტოს, რომ სასამართლოში უნდა წარმოადგინოს გაზეთის ეგზემპლარი, რომელშიც გამოქვეყნებული იქნება საჯარო შეტყობინება;

6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

*მოსამართლე* *შ.ჯანხოთელი*

# ნიკოლოზ რურუა ვატიკანის კარდინალს შეხვდა

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ წარმატებით დაასრულა თავისი ვიზიტი იტალიაში და შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა.

აბრეშუმის გზის პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ოქროს ექსპონატების გამოფენა. „მედეას ოქრო"-ს ექსპოზიციას ტრაიანეს მუზეუმი უმასპინძლებს, რომელიც 2011 წლის ნოემბერში გაიხსნება. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატების გამოფენა რომიდან ვატიკანისა და ფლორენციის მუზეუმებში გადაინაცვლებს. ამავე პროგრამის ფარგლებში კი იტალიაში ქართველი მეცნიერები ლექციებს წაიკითხავენ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, 22 მაისს იტალიის გაერთიანებიდან 150 წლის აღსანიშნავად, ქართველი საოპერო მომღერლები კონცერტს რომის ოპერაში გამართავენ.

კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა შეხვდა ვატიკანის კარდინალს, ბატონ რავაზისაც. შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ ქართველ მკვლევარებს ვატიკანის არქივებში მუშაობის ნებართვა ექნებათ. ნიკოლოზ რურუა ასევე შეხვდა იტალიელ არქიტექტორსა და რესტავრატორს ჯანლუიჯი კოლალუჩის. შედგა მოლაპარაკება მომავალ თანამშრომლობაზე — სემინარზე, რომელსაც კოლალუჩი საქართველოში ჩაატარებს.

რომსა და ფლორენციაში გამართული შეხვედრების შემდეგ საქართველოს კულტურის მინისტრი იტალიის პატარა სოფელ პენაბილიში დიდ იტალიელ დრამატურგს ტონინო გუერას ეწვია. დაიგეგმა გუერას ვიზიტი საქართველოში. სხვადასხვა შეხვედრებისა და დაგეგმილი ღონისძიებების გარდა მწერალი და სცენარისტი საზოგადოებას შეხვდება, სცენარისტებისთვის რამდენიმე „ვორქ-შოფს" და მასტერ-კლასს გამართავს.

მინისტრი ასევე შეხვდა იტალიის კულტურის მინისტრის მოადგილეს ფრანჩესკო ჯიროს, სადაც გადაწყდა იტალია-საქართველოს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

# მუსიკალური ცენტრი საგაზაფხულო კონცერტებს აწყობს

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საგაზაფხულო კონცერტების სერია იმართება. 2 მარტს კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის უკვე შესრულდა ვივალდის კონცერტი ორი ჩელოსთვის და ორკესტრისთვის, ბახის ბრანდენბურგის კონცერტი №6, ვივალდის კონცერტი ოთხი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის და ბახის ბრანდენბურგის კონცერტი №4. კონცერტის სოლისტები იყვნენ რაჟდენ ჯაიანი, ალექსანდრე ბელი, თეიმურაზ ხარაძე (ალტი), მირიან ედილაშვილი (ალტი), თეონა მიქელაძე (ჩემბალო), თორნიკე აფაქიძე, ანა აბულაძე, ეკატერინე საფარიშვილი, ბიძინა ფოჩხუა, ციცინო სუხიაშვილი (ფლეიტა), ნატალია ლომინაძე (ფლეიტა), თამარ ჩაგანავა (ვიოლინო).

თბილისის მუსიკალურ ცენტრში კიდევ ორი კონცერტი გაიმართება — 10 და 15 მარტს მუსიკალურ ცენტრში თბილისის სიმფონიური ორკესტრი დაუკრავს, სადირიჟორო პულტთან კი ვახტანგ კახიძე იდგება.

10 მარტს თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე ვახტანგ კახიძის დირიჟორობით შესრულდება ბახის კონცერტი ალტისა და ორკესტრისთვის, ბოტეზინის საკონცერტო დუეტი კონტრაბასის, ვიოლინოსა და ორკესტრისთვის, ჩიმაროზა კონცერტი ორი ფლეიტისა და ორკესტრისთვის, მოცარტის კონცერტი ვალტორნისა და ორკესტრისთვის №1 (ვერსია ფლუგელჰორნისთვის) და მოცარტის სიმფონია №24. ამ კონცერტის სოლისტები იქნებიან — მაია ბურდილაძე, გიორგი ქვლივიძე (კონტრაბასი), გიორგი ხაინდრავა (ვიოლინო), ნატალია ლომინაძე, დიმიტრი სტავრიანიდი და გიორგი შამანაური.

საგაზაფხულო კონცერტებს ჯანსუღ კახიძის ცენტრში კი დაასრულებს 15 მარტის საღამო, რომლის პროგრამაშია: ბახი კონცერტი ორი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის, ბახის ბრანდენბურგის კონცერტი №2, ჰაიდნის სიმფონია № 104. დასკვნითი კონცერტის სოლისტები არიან ზურაბ გაბუნია, მანანა დუგლაძე, ციცინო სუხიაშვილი (ფლეიტა), ზურაბ გვანცელაძე (ჰობოი), გარი ანტონიანი (საყვირი), გიორგი ხაინდრავა (ვიოლინო) და თეონა მიქელაძე (ჩემბალო).

როგორც ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალური ცენტრის წარმომადგენელმა ნინო საყვარელიძემ გვითხრა, ამ სამი კონცერტის შემდეგ ცენტრი აპრილამდე შეისვენებს. აპრილიდან კი მათ სივრცეში კლასიკური მუსიკის საღამოები ისევ განახლდება და კლასიკური მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას არაერთ სიურპრიზს შესთავაზებს.

# ეროვნულმა არქივმა 12 სტაჟიორი დაასაქმა

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში სტაჟირების მორიგი პროგრამა დასრულდა. მასში მონაწილე წარმატებულ სტაჟიორებს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა საზეიმო ვითარებაში სერტიფიკატები გადასცა.

კონკურსი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ბათუმის იუსტიციის სახლში ეროვნული არქივის მოქალაქეთა მისაღების უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზეც გამოცხადდა. ამ თანამდებობაზე მომუშავის ფუნქციაში შედიოდა ბათუმის იუსტიციის სახლში საარქივო კუთხით მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევა და მათი მომსახურება. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ვადა 4 მარტამდე ჰქონდათ. კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია კი ეროვნული არქივის ვებგვერდზე ვაკანსიების განყოფილებაში იყო შესაძლებელი.

სტაჟირების 6 თვიანი პროგრამა ეროვნულ არქივში 2010 წლის სექტემბერში დაიწყო. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგად შერჩეული იყო 32 კანდიდატი, მათ შორის 7 — ქუთაისის ცენტრალურ არქივში სტაჟირების გასავლელად. სტაჟიორთა შორის იყვნენ როგორც უმაღლესი განათლების მქონე პირები, ასევე უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები.

საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტების, ქუთაისის ცენტრალურ არქივებში, რესტავრაციისა და მიკროფოლმირების ლაბორატორიისა და ეროვნული არქივის ცენტრალურ აპარატში სტაჟიორებს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარდათ. არსებულ ვაკანტურ ადგილებზე კი მათგან ყველაზე წარმატებული 12 სტაჟიორი დაინიშნა, მათ შორის 5 — ქუთაისის არქივში.

— მოხარული ვარ, რომ სტაჟირების პროგრამა მასში მონაწილე კონკურსანტებმა წარმატებით დაძლიეს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 12 მათგანი ეროვნული არქივის სისტემაში დასაქმდა. იმედს გამოვთქვამ, აქ მიღებული გამოცდილება მათ სამომავლოდ დაეხმარებათ პროფესიულ ცხოვრებაში, — განაცხადა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

ეროვნულ არქივში სტაჟირების პროგრამა კვლავ გამოცხადდება. ახალ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის კონკურსი აპრილში დაიწყება.

# თუ ხელისუფლება ვინმეს ხელს მოუქნევს, მწარე პასუხს მიიღებს

დღეს სახალხო კრება „შეფიცულების" პრეზენტაციას გამართავს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ეს იქნება ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება სახალხო კრებას ქვეყანაში უსამართლობის და უკანონობის აღკვეთაში.

— ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ყველა უკანონო განაჩენი გადაიხედოს. ჩვენ დღეს შეფიცულების პრეზენტაცია გვექნება. ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს ხელისუფლების მხრიდან ოპონენტების ჩაგვრა. იქნება სრული სოლიდარობა უკანონობის მსხვერპლისადმი. უკანონობის მსხვერპლის გვერდით დადგება ასობით ადამიანი და თუ ხელისუფლება ვინმეს ხელს მოუქნევს, მწარე პასუხს მიიღებს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# საზოგადოებაში რევოლუციური განწყობა არ არის

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოს" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი მიიჩნევს, რომ ამჟამად ქართულ საზოგადოებაში რევოლუციური განწყობა არ არის.

მიუხედავად საზოგადოებაში არსებული მძიმე სოციალური ვითარებისა, ხელისუფლების მიმართ საზოგადოების პროტესტის გრძნობა მაინც სუსტია.

**მედიანიუსი**

# ვაკის სარდაფში პრემიერაა

**ეკა ირემაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში შემოქმედებითი ჯგუფი პრემიერისთვის ემზადება. 12 და 13 მარტს მაყურებლისთვის გათამაშდება სპექტაკლი „სულის სამჭედლო, ანუ სისხლი სისხლის წილ", რომლის დამდგმელი რეჟისორიც გიორგი სავანელია. სპექტაკლი რეჟისორმა ლაშა თაბუკაშვილის ნაწარმოების „ათვინიერებენ მიმინოს" მიხედვით განახორციელა. პრემიერამდე ერთი დღით ადრე კი — 10 მარტს თეატრალებისა და ჟურნალისტებისთვის დახურული ჩვენება ე.წ. ჩაბარება გაიმართება.

ვაკის სარდაფი, რომელიც ახლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთარებაა, შემოქმედებით სიცოცხლეს აქტიურად აგრძელებს. ამ თეატრის სცენაზე სხვადასხვა რეჟისორები როგორც ქართულ, ასევე უცხოერ პიესებს დგამენ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის XXI საუკუნის კულტურა და მასში მიმდინარე სიახლეები მეტად აქტუალურია. სწორედ ამიტომ პირველად საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ორდღიანი კონფერენცია გამართა, რომლის თემაც „ევროპული შემოქმედებითი კვლევები" იყო. ორდღიან პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მეცნიერებმა, ევროპის სხვადასხვა შემოქმედებით-საშემსრულებლო აკადემიისა და უნივერსიტეტის პროფესორებმა. პროექტი ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდის „კავკასია" პარტნიორობით განხორციელდა.

კონფერენციაზე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა შემოქმედებითი კვლევების აუცილებლობა, შემოქმედებითი კვლევა ევროპაში-განსხვავებული გამოცდილებანი, სახელოვნებო მეცნიერების თეორია და პრაქტიკა, საუკეთესო ნიმუშები, ერთობლივი სადოქტორო პროგრამა — ევროპული სადოქტორო პროგრამა შემოქმედებით კვლევაში.

8 მარტს კი ხელი მოეწერა მემორანდუმს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლეიდენის უნივერსიტეტის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების აკადემიას (ნიდერლანდები) შორის. ევროპის კულტურათა სახლის პრეზიდენტმა, პროფესორმა ფრანს დე რუიტერმა კი ოფიციალურად გახსნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული „ევროპის კულტურათა სახლი".

როგორც ახალი სპექტაკლის რეჟისორმა გიორგი სავანელმა „ახალ თაობას" უთხრა, მომავალში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი მის ერთგულ მაყურებელს სეზონის დახურვამდე კიდევ არაერთ პრემიერას შესთავაზებს.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში" ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● ბაკურიანში, სოფელ ციხისჯვარში (4 კმ), იყიდება 2-სართულიანი კაპიტალური სახლი დიდი ეზოთი, ან იცვლება თბილისის ბინაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 895 23 33 41; 23 33 40.

● იყიდება ბურახის კასრი, 200-ლიტრიანი, მუშა მდგომარეობაში. საწყისი ფასი - 1800 ლარი. ტელ: 857 91 55 77.

### სხვადასხვა

● გამოსაცემად მზად მაქვს ქართველ და მსოფლიოს დიდ მოაზროვნეთა გამონათქვამები (აზრები) ქალის შესახებ 2 ტომად, სისტემატიზირებულ 40 ქვეგანყოფილებაში. ვეძებ გამომცემლობას ან სპონსორ-თანაავტორს. ტელ: 75 60 19; 78 16 09; 893 48 02 85. ოთარ ოსაძე.

● გთავაზობთ მზესუმზირის დარჩეულ გულებს, სასარგებლოა დიაბეტით დაავადებულთათვის, მოზარდებში ხელს უწყობს სიმაღლეში ზრდას, გამონაყარის გაქრობას, მეხსიერების გაძლიერებას. 1 კგ ფასი - 8 ლარი. ტელ: 899 61 55 58; 52 55 58.

# ფენომენალური „ბარსელონა“ და ლოგიკური „შახტარი“

**ბარსელონა — არსენალი 3:1**

***1:0 მესი (45), 1:1 ბუსკეტსი (53ავ), 2:1 ხავი (69), 3:1 მესი (71პ)***

**ბარსელონა:** ვალდესი, დანი ალვეში, ბუსკეტსი, აბიდალი, ადრიანო (მაქსველი 90), მასკერანო (კეიტა 88), ხავი, ინიესტა, როდრიგესი, მესი, ვილია (აფელაი 82)

**არსენალი:** შჩესნი (ალმუნია 19), სანია, კოსიელნი, ჯურუ, კლიში, დიაბი, უილშირი, როსიცკი (არშავინი 73), ფაბრეგასი (ბენდტნერი 78), ნასრი, ვან პერსი

**გაძევება:** ვან პერსი (56)

ეს გუნდები ამ საუკუნეში რამდენჯერაც ერთმანეთს გადაეყარნენ, გამარჯვებული ყოველთვის კატალონიელები გამოდიოდნენ. თუმცა, ბოლო მატჩსა და მანამდე ჩატარებულ შეხვედრებს შორის რამდენიმე საერთო პარალელის გავლება შეიძლება.

2006 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ. მაშინდელი მატჩის მე-18 წუთზე მოედნიდან „არსენალის“ მეკარე იენს ლემანი გააძევეს. ლონდონელებს ახლაც მოუხდათ მეკარის იძულებითი ცვლილება — მე-18 წუთზე ტრავმა მიიღო და მატჩის გაგრძელება ველარ მოახერხა შჩესნიმ. ორივე შემთხვევაში შემცვლელი მანუელ ალმუნია იყო და ორივე მატჩი „ბარსელონას“ გამარჯვებით დასრულდა.

ამ გუნდების დაპირისპირების დროს იყო ძალიან ბევრი საკამათო წითელი ბარათებიც. გასულ სეზონში ასევე ჩემპიონთა ლიგის მატჩისას მოედნიდან კარლეს პუიოლი გააძევეს, ხოლო ამ მატჩში მოედანი რობინ ვან პერსის დაატოვებინეს. საკამათო იყო როგორ პუიოლის, ასევე ვან პერსის გაძევებაც.

ახლა რაც შეეხება თავად მატჩს: „ბარსელონა“ რომ ფენომენალურ ფეხბურთს თამაშობს, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. ალბათ, ყველასთვის წარმოუდგენელია, თუ როგორ უნდა შეაჩერონ მათი შეტევები. ამ მატჩმა მხოლოდ კატალონიური გუნდის გულშემატკივრები გაახარა და თვით ნეიტრალურ გულშემატკივარს იმედები ვერ გაუმართლა. მოედანზე მხოლოდ მასპინძლები დომინირებდნენ, თუმცა, მარტო მათი ნახვაც დიდი სიამოვნება იყო. ერთია, ლონდონელებს ისე რომ ეთამაშათ, როგორც წინა მატჩში, გულშემატკივარი უფრო ისიამოვნებდა.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში „ბარსა“ კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა. ლონდონელებს კი მათი კარის სიახლოვეს მისვლაც უჭირდათ და ვალდესის კარს ერთხელაც არ დამუქრებიან. მესი და კომპანია კი მთელი ტაიმის განმავლობაში დიდი წნეხის ქვეშ აქცევდა მეტოქეს და მაყურებელი მხოლოდ იმის მოლოდინში იყო, თუ როდის გატყდებოდა „არსენალის“ დაცვა. ეს კი პირველ ტაიმში მსაჯის მიერ მე-3 კონპენსირებულ წუთზე მოხდა, როდესაც სესკ ფაბრეგას საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი უაზროდ დაკარგა, რომელიც ფეხთ ანდრეს ინიესტამ იგდო და იდეალური პასით ლეო მესი მეკარეს პირისპირ შეჰყარა. არგენტინელ ვარსკვლავს კი ასეთ შემთხვევებში არაფერი ეშლება — მესიმ ყველაფერი იდეალურად გააკეთა, ალმუნიას შანსი არ დაუტოვა და „ბარსა“ შესვენებაზე სასურველი ანგარიშით გავიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე ტაიმი უფრო მშვიდად დაიწყო. კატალონიელებმა მათთვის სასურველი თამაშის ტემპი დაიჭირეს. „არსენალი“ შეტევაში წასვლას კი ცდილობდა, მაგრამ ყველაფერ ამას პასიურად და ქაოსურად აკეთებდა. ლონდონელებს ისევ უჭირდათ კართან მიახლოება, რადგან მეტოქეს საჯარიმოს მისადგომებთან ყველაფერი გადაკეტილი ჰქონდათ. თუმცა, მოულოდნელად გოლი გავიდა.

53-ე წუთზე „არსენალმა“ კუთხურის ჩამოწოდების უფლება მიიღო, სამირ ნასრის ჩაწოდებულს კი თავი სერხიო ბუსკეტსმა დაჰკრა და საკუთარ კარში გაიტანა — 1:1 და ეს ანგარიში უკვე ლონდონელებს აწყობდათ.

3 წუთში კი მსაჯმა სადავო გადაწყვეტილება მიიღო. ლონდონელთა მორიგი შეტევის მცდელობისას ვან პერსი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა, თუმცა, სასტვენის შემდეგ კარში დაარტყა. მართალია, ამ შემთხვევაში მსაჯი ვალდებულია ფეხბურთელს ყვითელი ბარათი უჩვენოს, მაგრამ ვან პერსიმ კარგად იცოდა, რომ ერთი ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა და ამხელა რისკზე ნამდვილად არ წავიდოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 95-ათასიან სტადიონზე, სადაც გამაყრუებელი ყიჟინაა, ჰოლანდიელს სასტვენის ხმა ვერ გაეგონა, მაგრამ მასიმო ბუზაკა შეუვალი აღმოჩნდა და ვან პერსის ნაადრევად მოუწია მოედნის დატოვება.

ჯერ სრული შემადგენლობით მოთამაშე „არსენალი“ არ ჰგავდა არაფერს და კაცნაკლული რაღას იზამდა — ლონდონელებს ამის მერე შეტევაზე არც უფიქრიათ და მხოლოდ იმას ცდილობდნენ მათთვის სასურველი ანგარიში დაცვაში თამაშით შეენარჩუნებიათ. ეს მხოლოდ 69-ე წუთამდე მოახერხეს.

ინიესტას მორიგ სოლო რეიდს დავიდ ვილიასა და ხავის გაგრძელება მოჰყვა და კატალონიელთა კაპიტანმა მეორე გოლი გაუტანა ალმუნიას. მანამდე კი ვილიამ ზედიზედ 3-ჯერ ვერ აჯობა ლონდონელთა მეკარეს, როდესაც მასთან ერთ-ერთზე რჩებოდა.

„არსენალი“ ჯერ კიდევ არ იყო განწირული. მათთვის მთავარი იყო ახლა უფრო მეტი გაეძლოთ და საქმე პენალტების სერიამდე მიეყვანათ, მაგრამ 2 წუთში ეს იმედიც მოუკვდათ.

71-ე წუთზე კოსილნიმ თავის საჯარიმოში დასცა პედრო და ბუზაკამ უყოყმანოდ მიუთითა 11-მეტრიანი ნიშნულისკენ, რომელიც დიდოსტატურად დაარტყა მესიმ. ეს არგენტინელი ფეხბურთელის მე-8 გოლი აღმოჩნდა მიმდინარე გათამაშებაში და სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა სიას.

დარჩენილ დროში თამაშს ისევ კატალონიელები აკონტროლებდნენ და საქმე მშვიდად მიჰყავდათ ლოგიკურ დასასრულამდე. თუმცა, ერთ მომენტში კინაღამ დაისაჯნენ — 87-ე წუთზე ადრიანომ ბურთი დაკარგა, რის შემდეგ უილშირმა კარგ პოზიციაში გაიყვანა ნიკლას ბენდტნერი, მაგრამ დანიელი ფეხბურთელი უხეიროდ გაისარჯა და თავისიანებს ვერ უშველა. სიმართლე მოითხოვს, ბენდტნერს რომც გაეტანა, ეს იქნებოდა ამ მატჩის არალოგიკური დასარული — „ბარსელონა“ შემდეგ ეტაპზე გასვლას იმსახურებდა.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ანდრეს ინიესტა

როდესაც მოედანზე ლეო მესია, ძალიან ძნელია საუკეთესო ფეხბურთელად სხვა დაასახელო. მით უმეტეს, რომ მესიმ ამტჩში 2 გოლი გაიტანა, ინიესტას კი საერთოდ არ გაუტანია. ერთია, ესპანელი ფეხბურთელი გუნდს ძალიან ადგია ყველაზე მნიშვნელოვან და საკვანძო მომენტებში. თავისი ნათელი გონებით, ინიესტამ 2 გოლი შექმნა, რომელიც ჯერ მესიმ, შემეგ კი ხავიმ გაიტანეს. მოედნის ცენტრში კი განუმეორებლად ირჯებოდა.

**შახტარი — რომა 3:0**

***1:0 ბიუქშმანი (18), 2:0 ვილიანი (58), 3:0 ედუარდო (87)***

***28-ე წუთზე ბორიელომ (რომა) ვერ გამოიყენა პენალტი***

**შახტარი:** პიატოვი, გიუბშმანი, ჟადსონი, ლუის ადრიანო (მორენო 75), ვილიანი, კოსტა (ედუარდო 60), მხითარიანი (ალექსი 67), რაცი, ჩიგრინსკი, სრნა, რაკიცკი

**რომა:** დონი, ჟუანი, მექსე, პისარო, ვუჩინიჩი (ბრიჯი 65), ტადეი (როსი 46), დე როსი, რიისე, პეროტა (კარპარი 86), ბორიელო, ბურდისო

**გაძევება:** მექსე (41)

„ბარსელონა“ — „არსენალის“ მატჩის ფონზე ეს მატჩი ცრდილში იყო მოქცეული, თუმცა ინტრიგა ჯერ კიდევ ჰქონდა. ეს ინტრიგა კი პირველივე ტაიმში მოკვდა. ამის მიზეზი გიუბშმანის მე-18 წუთზე გატანილი გოლი, 28-ე წუთზე მარკო ბორიელოს გამოუყენებელი პენალტი და 41-ე წუთზე ფილიპ მექსეს გაძევება იყო.

მეორე ტაიმში კი საქმის ბოლომდე მიყვანა ძალიან ადვილი გახდა და დონეცკელებმაც მშვიდად მიიყვანეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე. გოლები თავის აქტივში ვილიანმა და ედუარდომ ჩაიწერეს.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** დარიო სრნა

დონეცკელთა კაპიტანმა მოედანზე არანორმალურად დიდი სამუშაო გაწია. სრნა იყო იქ, სადაც იყო ბურთი, იგებდა ყველა ორთაბრძოლას, კარგად ერთვებოდა შეტევებში და საგოლე პასიც მიითვალა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-არსენალი | 3:1 |
| შახტარი-რომა | 3:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-სკანთორპი | 2:1 |
| ბრისტოლი-პორთსმუთი | 2:1 |
| დონკასტერი-ქოვენთრი | 1:1 |
| იფსვიჩი-რედინგი | 1:3 |
| ლესტერი-ნორვიჩი | 2:3 |
| მიდლსბრო-დერბი | 2:1 |
| მილუოლი-ქპრ | 2:0 |
| პრესტონი-ლიდსი | 1:2 |
| სუონსი-უოტფორდი | 1:1 |
| ჰალი-ბარნლი | 0:1 |
| შეფილდი-ნოტინგემი | 2:1 |
| კრ.პალასი-კარდიფი | 1:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| იაგელონია-შლიონსკი | 1:1 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-ლეიკერსი | 87:101 |

*ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 10 მოხსნა*

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-მილუოკი | 76:95 |
| ინდიანა-ფილადელფია | 100:110 |
| კლივლენდი-გოლდენ სტეიტი | 85:95 |
| მაიამი-პორტლენდი | 96:105 |
| ფინიქსი-ჰიუსტონი | 113:110 |

### ჩოგბურთი

**ვტა. ინდიანა უელსი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ფლიპკენსი-იოჰანსონი | 6:4;6:1 |
| კირსტეა-პუიგი | 3:6;6:4;6:1 |
| ჩჟანი-პივოვაროვა | 6:4;6:2 |
| კორნე-მინასიევა | 6:3;4:6;6:0 |
| ნიკულესკუ-ვიორლე | 6:1;6:4 |
| პერვაკი-ჰემპტონი | 4:6;0:6 |
| ლიაგოსტერა ვივასი-სავჩუკი | 6:2;2:6;6:3 |
| მარინო-ცვეტკოვსკა | 6:3;1:6;6:2 |
| პაჩეკი-ჰლავაჩკოვა | 2:6;6:1;6:2 |
| დოი-ლუჩიჩი | 6:2;6:2 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| აილენდერსი-ტორონტო | 4:3(ოტ) |
| ნიუ ჯერსი-ოტავა | 1:2 |
| პიტსბურგი-ბუფალო | 3:1 |
| ფილადელფია-ედმონტონი | 4:1 |
| მონრეალი-ბოსტონი | 4:1 |
| ფლორიდა-ჩიკაგო | 3:2 |
| მინესოტა-კოლორადო | 5:2 |
| ფინიქსი-ვანკუვერი | 3:4(ოტ) |
| სან ხოსე-ნეშვილი | 3:2(ოტ) |

# ფილიპო ინძაგი ევროთასების გოლების რეკორდს უმიზნებს

**37 წლის ფილიპო ინ აგი ფეხბურთისთვის თავის დანებებას არ აპირებს. „პიპომ“ ახლახან მოირჩინა ტრავმა, რის გამოც ხანგრ ლივი დროით იყო ჩამოშორებული საყვარელ საქმეს, მაგრამ არც ეს აშინებს.**

ინძაგის ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— მიუხედავად არასაფეხბურთო ასაკისა და მძიმე ტრავმისა, მაინც არ კარგავთ თვითრწმენას და მაღალ დონეზე თამაშის გაგრძელებას აპირებთ. თუ საიდუმლო არ არის, რა არის ასეთი ხანგრძლივი თამაშის უმთავრესი პირობა?***

— ფეხბურთს დიდი ხანია ვთამაშობ და ამ დროის მანძილზე ბევრი ტრავმა გადამიტანია, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ჩემი კარიერა საფრთხის წინაშე დაუყენებია. ამის მიუხედავად, არ ვნებდებოდი. საიდუმლო კი ის არის, რომ ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. საერთოდაც ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, რომ ფეხბურთელი გავხდი და ის ჩემი ცხოვრების ნაწილი შეიქნა. ხოლო ორმაგად უფრო ბედნიერი ვარ, რომ თამაში „მილანში“ მომიწია და ამ კლუბთან ერთად უამრავი ჯილდოს მფლობელი გავხდი.

***— როდესაც შეიტყვეთ ინფორმაცია, რომ ფეხბურთს თავს ანებებდა რონალდო, თქვენ არ გაგიჩნდათ აზრად, ბუცები ლურსმანზე დაგეკიდებიათ?***

— ყველა ფეხბურთელი თავად წყვეტს, როდის უნდა დაასრულოს კარიერა. რა თქმა უნდა, აღვნიშნე, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კარიერას ასრულებდა და ეს გულდასაწყვეტი იყო. ვერაფერს ვიზამთ, მე ალბათ გამიმართლა, რომ 38 წლის ასაკშიც ვიბრძვი მოედანზე ჩემი კლუბისთვის, პარტნიორებისთვის და გულშემატკივრებისთვის.

***— თქვენი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, რომელმა ფეხბურთელმა დატოვა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?***

— ასეთები ძალიან ბევრი იყვნენ, მაგრამ თუ ასაკს და ტალანტს ერთად შევათავსებთ, ვფიქრობ, ლეო მესი ყველასგან გამოირჩევა.

***— ბავშვობაში ვინ იყო თქვენი საფეხბურთო იდეალი?***

— ამის თქმაც საკმაოდ გამიჭირდება, მაგრამ გამოვყოფდი იმ თავდამსხმელებს, რომელიც უფრო ჩემი სტილის იყვნენ — მარკო ვან ბასტენი და პაოლო როსი.

***— ძალიან ბევრ მწვრთნელთან მოგიწიათ მუშაობა. თუ იყო მათში რომელიმე, რომელიც განსაკუთრებით გთხოვდათ ნახევარდაცვის, ან დაცვის ხაზის დახმარებას?***

— ჩემი სათამაში სტილის გამორჩეული მხარე ის არის, რომ არასდროს არ ვიხევ ძალიან ღრმად და მწვრთნელებმა ეს კარგად იციან. თუმცა, როგორც ყველა ფეხბურთელს, გარკვეულ მომენტში მეც შემიძლია ჩვენი საჯარიმოს სიახლოვეს აღმოვჩნდე და დაცვას დავეხმარო.

***— მაშინ ის გვითხარით, თუ რომელმა მწვრთნელმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?***

— დიდი სიყვარულით ვიხსენებ ლუიჯი კანისა და ბარტოლო მუტის. პირველმა მომცა შანსი, თავი წარმომეჩინა, ხოლო მეორეს რჩევებს ახლაც, 38 წლის ასაკშიც კი ვითვალისწინებ. ძალიან თბილად მახსენდება კარლო ანჩელოტი, რომელთან ერთად მუშაობა „იუვენტუსსა“ და „მილანში“ მომიწია. მასიმილიანო ალეგრისთანაც მალე გამოვნახე საერთო ენა, ახლა მხოლოდ ერთად თანამშრომლობისას ჯილდოების მოგება გვაკლია.

***— მცველებიდან ვინ იყო თქვენთვის ყველაზე ძლიერი მეტოქე?***

— ასეთებიც ბლომად არიან, თუმცა, პაოლო მალდინის გამოვყოფდი, რომლის წინააღმდეგაც მითამაშია და ერთადაც უამრავი ჯილდო მოგვიგია.

***— თქვენი კარიერის რომელ პერიოდს გაიხსენებდით ყველაზე თბილად და პირიქით, ყველაზე ცუდად?***

— ყველაზე თბილად გასახსენებელი 2007 წელს ათენში გამართული ჩემპიონთა ლიგის ფინალია, როდესაც „ლივერპულს“ 2 გოლი გავუტანე. ცუდად გასახსენებლი კი გაუთავებელი ტრავმებია, რის გამოც ბევრი დრო გამიცდა. წაგება კი საკმაოდ მშვიდად გადამაქვს — ესეც ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია.

***— როგორ ფიქრობთ, მოახერხებთ გუნდში ადგილის შენარჩუნებას, როდესაც ისეთი კონკურენტები გყავთ, როგორებიც იბრაჰიმოვიჩი, კასანო, რობინიო და პატო არიან?***

— როდესაც ტრავმა მივიღე, ჩემს მხარდასაჭერად მთელი გუნდი მოვიდა და ამ ფაქტმა ჩემზე ძალიან ემოციურად იმოქმედა. არც იმას ვფიქრობ, რომ ჩემი დაბრუნება ვინმეს პრობლემას შეუქმნის. ერთია, მწვრთნელებს გაცილებით მეტი არჩევანი ექნებათ შეტევაში გასაკეთებლად. ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ გუნდისთვის სარგებლის მტანა შემიძლია.

***— როდის გიხილავთ მოედანზე გასულს?***

— იმედი მაქვს, ძალიან მალე. ახლა ჩემი მთავარი მიზანიც მოედანზე გასვლაა. მინდა ევროთასებზე გატანილი გოლების რეკორდი დავამყარო.

# საქართველო ფიფას რეიტინგში ვერ დაწინაურდა

სომხეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ (2:1), საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ფიფას რეიტინგში წინსვლა მაინც ვერ განიცადა. მართალია, ამ მოგებით თემურ ქეცბაიას შეგირდება 20 სარეიტონგო ქულა მოიპოვეს, მაგრამ უახლოესმა კონკურენტებმა გაცილებით მეტი დააგროვეს და ჩვენები ერთი საფეხურით დაქვეითდნენ.

სადღეისოდ, საქართველოს ნაკრები რეიტინგში 72-ე პოზიციაზე იმყოფება.

რაც შეეხებათ, ჩვენს მეტოქეებს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, 2 მათგანი საუკეთესო ათეულშია: ხორვატები — მე-8 ადგილზე, ხოლო ბერძნები მე-10 ადგილზე იმყოფებიან. 6 საფეხურით დაქვეითდა ისრაელის ნაკრები და 58-ე პოზიცია უჭირავს. ერთი საფეხურით დაწინაურდა ლატვია და ახლა 75-ეა, ხოლო 7 ნაბიჯით წინ წაიწია მალტის ნაკრებმა, რომელიც 156-ე ადგილზე იმყოფება.

საუკეთესო გუნდებში კი ასეთი მგომარეობაა: ესპანეთმა, ჰოლანდიამ და გერმანიამ სამეული უცვლელი დატოვეს, არგენტინამ და ბრაზილიამ ადგილები გაცვალეს და ახლა წინ ბატისტას შეგირდები არიან.

მეორე ხუთეულში კი ინგლისი, ურუგვაის, ხორვატიის, პორტუგალიისა და საბერძნეთის ნაკრებები მოხვდნენ.

# კობი ბრაიანტმა იყოჩაღა

გუშინ დილით ნბა-ში ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა — „ატლანტა ჰოუკსმა“ შინ 87:101 წააგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“. გარდა იმისა, რომ ატლანტელთა თამაში საქართველოს ნაკრების კაპიტნის, ზაზა ფაჩულიას გამო გვაინტერესებს, ამ შეხვედრაში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც მოხდა — კობი ბრაიანტმა 26 ქულა დააგროვა და ყველა დროის საუკეთესო მექულეთა შორის მე-6 ადგილზე გადაინაცვლა.

სადღეისოდ, ბრაინს კარიერაში 27.423 ქულა აქვს მოხვეჭილი და ამ მაჩვენებლით ქარიმ აბდულ ჯაბარს (38.387), კარლ მელოუნს (36.928), მაიკლ ჯორდანს (32.292), უილტ ჩემბერლენსა (31.419) და შაკილ ონილს (28.590) ჩამორჩება.

ზემოთ დასახელებული კალათბურთელებიდან, მოქმედი მხოლოდ ონილია, თუმცა, თუ ამ კალათბურთელების ბოლოდროინდელ შედეგიანობასა და ასაკს შევადარებთ, ბრაინტს შანსი აქვს, თავის ყოფილ თანაგუნდელს გაუსწროს. რაც შეიძლება უფრო მაღალ შედეგზე ფიქრს, კალიფორნიელ კალათბურთელს მათი მიღწევა უფრო გაუჭირდება.

რადგან ეს ატლანტელტა თამაში ვახსენეთ, იმასაც გეტყვით, რომ ფაჩულიამ ეს მატჩი კარგად ჩაატარა. ჩვენებურმა 22 წუთში 8 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა. აქედან ბურთი მეტოქის ფარზე 6-ჯერ მოხსნა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო შედეგი იყო.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ოპოზიციის იმიჯი კიდევ უფრო ილახება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

სოლიდარული, თუმცა, ჩვენ ამ პროცესებში არ ჩავერიეთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მიგვაჩნა, რომ ჯობდა საზოგადოებას და ხელისუფლებას დაენახა ის მწვავე პრობლემა, რომელშიც დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი იმყოფება. რატომღაც პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფი ჩაუდგა ამ პროტესტს სათავეში, რამაც გამოიწვია ამ აქციების ყოველგვარი შედეგის და სამომავლო პერსპექტივის გარეშე დამთავრება. ოპოზიციას ისე აქვს იმიჯი შელახული, რომ ჯობია ხალხმა თვითონ გააკეთოს თავისი გასაკეთებელი. ფაქტია, რომ ოპოზიციის ჩარევა ყველა საკითხში იწვევს უკურეაქციებს და უკუშედეგებს. აქედან გამომდინარე, როესაც იქნება რაიმე სახის გამოსვლა, ხალხს უნა მივცეთ პროტესტის რეალიზაციის საშუალება და ჩვენ ოპოზიციური პარტიები ამ პროცესებისაგან უნდა დავდგეთ შორს, უნდა ვაღიაროთ, რომ ოპოზიციას დღეს არ აქვს რეიტინგი და ყველა გამოსვლა მთავრდება უშედეგოდ. ამიტომ მე კიდევ ერთხელ მოვუწოებ ჩემს კოლეგა ოპოზიციონერებს, ნუ მიიღებენ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობას, თუ ხალხისთვის უნდათ სიკეთე, ოპოზიციის კამერებთან პოზიორობა ხალხს რეალურ შედეგს ვერ მოუტანს. ბოლო დღეების განმავლობაში ოპოზიციისგან ისმის განცხადებები, რომ ისინი მზად არიან გამოსვლებისათვის, მზად არიან იმისათვის, რომ ხელისუფლება შეცვალონ. ჩვენ კარგად ვიცით, რა მოგვიტანა თარიღების დასახელებამ. არაერთი საპროტესტო გამოსვლა ყოფილა, სადაც ისმოდა ძალიან ანთებული შეძახილები, რომ დღეს დამთავრდება ხელისუფლება, ხვალ დამთავრება, ასახელებდნენ კონკრეტულ თარიღებს, მაგრამ დღეს სახეზე გვაქვს ის, რომ სააკაშვილი დღესაც არის ხელისუფლებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ოპოზიცია დღესაც იმავე შეცდომებს იმეორებს. მე მინდა ვუთხრა ამ ადამიანებს, დაანებონ თავი აპოკალიფსური ციფრების დასახელებას, რასაც არანაირი შედეგი არ მოაქვს, გარდა იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება რჩება იმეგაცრუებლი. როდესაც ასეთი არაფრის მთქმელი და არაფრისმომტანი განცხადებები კეთდება, ამით მთელს ოპოზიციურ სპექტრს ელახება ისედაც შელახული იმიჯი. დადგა იმის დრო, რომ ჩვენ ვისწავლოთ ჩვენს შეცდომებზე და აღარ დავუშვათ ანალოგიური სახის შეცდომები.

# მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოს ხარჯზე არ მოხდება

გერა მამულაშვილი

— ჩვენ უარვყავით მოსაზრება, რომ მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესება უნდა მოხდეს რეგიონის დანარჩენი ისეთი ქვეყნების ხარჯზე, როგორიცაა პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები ანდა საქართველო. მოკავშირეების წინაშე ჩვენი ვალდებულებები ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებთან შეუთავსებელი არ არის. ვაშინგტონი და მოსკოვი ერთმანეთს ყველაფერში ვერ დაეთანხმებიან. მაგალითად, აზრთა სხვადასხვაობა გვაქვს საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებთან დაკავშირებით, — აცხადებს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი „როსიისკაია გაზეტასთან“ ინტერვიუში. მასალას შემოკლებით გთავაზობთ.

***— ვიზიტისას რის განხილვას გეგმავთ, რისი მიღწევა გსურთ?***

— პირველ რიგში, სიამოვნებით ველი ამ ვიზიტს, რადგან რუსეთში 1997 წლის შემდეგ არ ვარ ნამყოფი. ჩემთვის და პრეზიდენტ ობამასთვის რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვა — ერთ-ერთი უმაღლესი პრიორიტეტია. პრეზიდენტმა მოსკოვში გამგზავრება დამავალა იმ მნიშვნელოვანი პროცესის წინსვლისთვის, რასაც ჩვენმა ქვეყნებმა ბოლო ორი წლის მანძილზე მიაღწიეს.

პრეზიდენტ მედვედევთან და პრემიერ-მინისტრ პუტინთან ვაპირებ განვიხილო ის მრავალრიცხოვანი სფეროები, რომლებშიც რუსეთი და შეერთებული შტატები მჭიდროდ თანამშრომლობენ; კერძოდ, შეიარაღებაზე და გაუვრცელებლობაზე კონტროლის, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ასევე ევროპული უსაფრთხოების ჩათვლით. მოხარული ვარ ასევე შევხვდე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებს. დარგი, რომელზეც ფოკუსირებას ვიმედოვნებ — ეს ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობებია.

მტკივნეული კრიზისის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღების პირობებში, აუცილებელია შევისწავლოთ გზები იმისთვის, რომ სრულად ავამოქმედოთ ჩვენი ურთიერთობების პოტენციალი, მეტი ვაჭრობის და ინვესტიციების გენერირება მოვახდინოთ. ამით ისარგებლებენ როგორც რუსები, ისე ამერიკელები. ამიტომ მე მრგვალ მაგიდასთან დისკუსიას ჩავატარებ აშშ-ს და რუსეთის ბიზნესის წარმომადგენლებთან, ასევე მოვინახულებ სკოლკოვოს.

***— სწორად გვესმის თუ არა, რომ ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი — მოგვიანებით წელსვე ორმხრივი სამიტისთვის მზადებაა?***

— ბოლო ორი წლის მანძილზე პრეზიდენტი ობამა და პრეზიდენტი მედვედევი ერთმანეთს ბევრჯერ შეხვდნენ — არამარტო მოსკოვში 2009 წელს და ვაშინგტონში 2010 წელს, არამედ მსხვილ საერთაშორისო ფორუმებში, მათი მონაწილეობით. მათ შორის ძალიან მტკიცე და მჭიდრო პირადი ურთიერთობები ჩამოყალიბდა, ყოველგვარი პროტოკოლის და ფორმალობების გარეშე. ისინი ერთად მუშაობენ კონკრეტული მიზნებისთვის, ამერიკელი და რუსი ხალხების საკეთილდღეოდ. ისინი შეხვდებიან მაისში „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე და ვივარაუდებ, რომ წელსაც მოგვიანებით კიდევ შეხვდებიან. ჩვენს პრეზიდენტებს შორის ხშირ ურთიერთქმედებას და კონტაქტებს — პოზიტიური შედეგები მოაქვს და ისინი უნდა გაგრძელდეს.

***— თქვენ თავის დროზე ამერიკულ-რუსული ურთიერთობების „გადატვირთვის“ კონცეფცია წამოაყენეთ. თქვენი აზრით, როგორ მიდის ამ თვალსაზრისით საქმეები? რის გაუმჯობესება არის საჭირო?***

— ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პრეზიდენტ ობამასთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვა გვჭირდება. პრეზიდენტმა დამავალა, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ჩვენი ადმინისტრაციისგან პირველი საგარეო-პოლიტიკური პრეზენტაცია ჩამეტარებინა. სწორედ მაშინ წამოვაყენეთ „გადატვირთვის“ იდეა. ორი წლის შემდეგ ჩემთვის ცხადია, რომ როგორც პრეზიდენტ ობამას უყვარს თქმა, „გადატვირთვამ“ „ორივე მხარისთვის მომგებიანი შედეგები“ მოიტანა. უბრალოდ დაფიქრდით ერთი წუთით იმის შესახებ, რასაც მივაღწიეთ;

მე ასევე ვთვლი, რომ აშშ-ს და რუსეთის ურთიერთობების გადატვირთვა ევროპაში უსაფრთხოების განმტკიცებას ხელს უწყობს. ჩვენ უარვყავით მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოსდა მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესება უნდა მოხდეს ჩვენი ურთიერთობების ხარჯზე რეგიონის დანარჩენ ქვეყნებთან — ისეთებთან, როგორიცაა პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები ანდა საქართველო, — ანდა თითქოს ჩვენი ვალდებულებები ჩვენივე მოკავშირეების წინაშე, თითქოსდა შეუთავსებელია უფრო მჭიდრო ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებთან.

პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ორივე ერთმანეთს განამტკიცებს. ნატო-რუსეთის საბჭოს გასული წლის ისტორიულ სხდომაზე ლისაბონში, რუსეთმა და ნატომ ვალდებულება აიღეს ითანამშრომლონ ოცდამეერთე საუკუნის უსაფრთხოების ისეთ საკითხებში, როგორიცაა ავღანეთი, ტერორიზმთან ბრძოლა, მეკობრეობისთვის წინააღმდეგობის გაწევა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა.

რუსეთი და შეერთებული შტატები ყოველთვის ყველაფერში თანხმობაში ვერ იქნებიან — მაგალითად, ჩვენ აზრთა სხვადასხვაობა გვაქვს საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებთან დაკავშირებით. მაგრამ ამ და სხვა რთულ საკითხებში შეგვიძლია პირდაპირ და ღიად წამოვაყენოთ ეს ჩვენი უთანხმოებები მაგიდაზე და მათზე ვიმუშაოთ, ამით სხვა დარგებში ურთიერთობების განვითარება მოვახდინოთ.

და ბოლოს, რეალურ პროგრესს მივაღწიეთ ჩვენს ეკონომიკურ ურთიერთობებში. დავარეგულირეთ პრაქტიკულად ყველა საკითხი, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. დღეს შეერთებული შტატები მხარს უჭერს რუსეთის მუშაობას იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ორგანიზაციის დანარჩენ პარტნიორებთან დღემდე ღიად რჩება. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით სავაჭრო დავებს ვწყვეტთ.

***— რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი 2011 წელს დასრულდება? ითამაშებთ თუ არა თეთრ სახლში წამყვან ამ საკითხზე? დაიწყო თუ არა უკვე ასეთი მუშაობა?***

— თქვენმა მთავრობამ 2011 წელში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ამოცანა დაისახა. ჩვენ ამ ძალისხმევებს მხარს ვუჭერთ. მაგრამ რა თქმა უნდა, აშშ მხოლოდ ერთია ვმო-ს იმ 153 წევრიდან, რომლებთანაც რუსეთი ამ ორგანიზაციასთან შეერთებისთვის უნდა შეთანხმდეს. თუ რუსეთის მთავრობა ისეთივე სიმტკიცეს და მიზანსწრაფულობას გამოავლენს, როგორც ჩვენთან მოლაპარაკებებში, მაშინ ეჭვიც არ მეპარება, რომ ვმო-ში გაწევრიანებას ვადაში მიაღწევს. მაგრამ ამისთვის მუშაობა იქნება საჭირო.

***— რუსეთის გარდა ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში ფინეთს და მოლდოვას მოინახულებთ; რატომ ეს ქვეყნები და რატომ ახლა?***

— ვიცე-პრეზიდენტის რანგში ევროპის ბევრი ნაწილი მოვინახულე, მაგრამ ჯერჯერობით არ ვარ ნამყოფი სკანდინავიაში, არც რა თქმა, უნდა რუსეთში. ერთ-ერთი თემა, რის აქცენტირებასაც რუსეთში ვაპრებ — არის ის, თუ ვაჭრობას, ინვესტიციებს და ინოვაციებს როგორ შეუძლიათ ჩვენი საერთო კეთილდღეობის ამაღლება. ამ პოტენციალის განმასახიერებელი ერთ-ერთი ქვეყანა ფინეთია. ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორია და მე მსურდა ამ შესაძლებლობის გამოყენება, რათა ამ მტკიცე ფუნდამენტზე მუშაობა გავაგრძელო.

მოლდოვას მოვინახულებ იმიტომ, რომ ეს დემოკრატიული „წარმატების ისტორიაა“. გასული წლის არჩევნებმა აჩვენეს მოლდოველების ერთგულება დემოკრატიისადმი, ტრანსპარენტული მმართველობისადმი, ადამიანის უფლებებისადმი და ეკონომიკური რეფორმებისადმი. შეერთებული შტატები მოლდოვას უკვე უწევს არსებით მხარდაჭერას განვითარებისთვის და მსურს ვნახო, კიდევ რით შეგვიძლია დახმარება. სიამაყით ვიქნები აშშ-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც მოლდოვას მოინახულებს.

***— როგორ ფიქრობთ, რუსებმა ამერიკის და ამერიკელების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იცოდნენ?***

— გადატვირთვის სტრატეგიის ფარგლებში ჩვენ ვაფართოებთ კავშირებს არამარტო მთავრობებს შორის, არამედ ჩვენს ხალხებს შორისაც. სამოქალაქო საზოგადოების რუსი და ამერიკელი ლიდერები ერთობლივად პარალელურ სამიტებს აწყობენ. სამუშაო ჯგუფები აყენებენ ინიციატივებს, რომლებიც ამერიკის და რუსეთის ხელოვნების მოღვაწეებს, მასწავლებლებს, მეცნიერებს, სპორცმენებს აახლოვებენ.

შეხვედრისას რუსები და ამერიკელები იმაში რწმუნდებიან, რომ მათ შორის გაცილებით მეტი საერთოა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა ძველი სტერეოტიპებიდან გამომდინარე. ბოლო ორი წლის მანძილზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მოწმობს იმაზე, რომ ამერიკელების და რუსების დამოკიდებულებებში ნეგატივი მკვეთრად შემცირებულია. ეს რეალური პროგრესია; მაგრამ უფრო მეტის მიღწევა არის საჭირო.

## ხართ თუ არა მეგობრული ადამიანი · ტესტი

**ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ: ა. ალიან ხშირად (5 . ბ. ხშირად (4 . გ. ხანდახან (3 დ. იშვიათად (2 . ე. ალიან იშვიათად (1**

1. რამდენად ხშირად ესწრაფვით ახლო მეგობრობას.
2. რამდენად ხშირად ცდილობთ სხვა ადამიანების გრძნობების გაგებას.
3. მოგწონთ თუ არა, როდესაც ადამიანები თქვენ მიმართ ნამდვილ გულისხმიერებას იჩენენ?
4. ადამიანები გიგებენ?
5. ხშირად ბრაზდებიან თქვენზე ადამიანები?
6. ხშირად ცდილობენ, რომ დაგიმეგობრდნენ?
7. ხშირად ცდილობთ ადამიანებთან დამეგობრებას?

**პასუხები**

**7-13 ქულა:** მეტად თავდაჭერილი ხართ და ადამიანებთან ურთიერთთბას გაურბიხართ. ხანდახან ეს აუცილებელია, მაგრამ უფრო ხშირად სულიერ სითბოს კარგავთ.

**14-30 ქულა:** ახლო მეგობრები საკმარისად გყავთ, რომ თავი მარტოხელად არ იგრძნოთ. უმეტეს შემთხვევაში კი ურთიერთობისას მტკიცე დისტანციას ინარჩუნებთ.

**31-25 ქულა:** მზად ხართ ნებისმიერ ადამიანთან ახლო და მეგობრული ურთიერთობისთვის. შეგიძლიათ ადამიანებზე ზრუნვა, რაც შესაბამის გამოძახილს პოულობს.

გ.თ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 2. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 3. ცნობილი ამერიკელი პედიატრი; 5. უკრაინული ლუდი; 6. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 9. ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 10. აეროპორტი ქუთაისის მახლობლად; 11. ზამთრის ერთ-ერთი თვე; 14. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 16. მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 18. ბრაზილიის ნაკრებისა და „რეალის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი კინორეჟისორი; 4. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 7. არგენტინის ნაკრებისა და „ინტერის“ ფეხბურთელი; 8. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 12. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 13. სახელმწიფო აზიაში; 15. იაპონელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ავსტრალიური სირაქლემა; 19. მწვავე ტკივილის შეტევა გულის არეში; 20. შოტლანდიელ მამაკაცთა ქვედა კაბა; 21. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში, სამცხის მთავართა რეზიდენცია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფარაონი; 2. ფხოვი; 3. რეზექცია; 4. ყვარელი; 5. ტენდენცია; 9. გროზნო; 12. კურიოზი; 14. აიკიდო; 15. გენი; 17. ცენტი; 18. პატო.

**თარაზულად:** 6. მარიხი; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. მეგრე; 11. ჰიდროფობია; 13. კაშაგანი; 16. კუბიცა; 19. ავტომატი; 20. სოლფეჯიო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იაძე; 2. რაუტი; 3. ტუაზი; 5. გერანი; 6. კიმიგაიო; 9. კონსილიუმი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდილია; 14. ისე; 16. გვრინი; 18. უშბა.

**თარაზულად:** 1. იბერია; 4. ნეგრესკო; 7. ტულუზა; 8. ზინდანი; 12. უნცია; 13. აიდახო; 15. ვალაბი; 17. სია; 19. ჩოლოყაშვილი; 20. რიალი; 21. სალათი.

# პარიზის კანალიზაციაში 18 მილიონი ევროს სამკაულები იპოვეს



საფრანგეთის პოლიციამ პარიზის გარეუბანში, კანალიზაციის არხში 18 მილიონი ევროს ღირებულების საიუველირო სამკაულები აღმოაჩინა. ეს სამკაულები 2008 წელს ერთ-ერთი პარიზული ბუტიკიდან გაიტაცეს.

პოლიციის განცხადებით, 19 ბეჭედი და სამი წყვილი საყურე პლასტიკის კონტეინერში იყო ჩადებული და სენ სენ დეენის რაიონში მდებარე ერთ-ერთი სახლის საკანალიზაციო არხში იყო ჩაცემენტებული.

სამკაულები იმ ძვირფასეულობის ნაწილია, რომლებიც პარიზის ცენტრში მდებარე ჰარი უინსტონის ბუტიკიდან 2008 წლის დეკემბერში გაიტაცეს.

სენ სენ დენის რაიონში მდებარე სახლი ბუტიკის ძარცვის მონაწილეობაში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი პიროვნების საკუთრებას წარმოადგენდა.

ელისეს მინდვრებზე მდებარე ბუტიკს ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული ადამიანი დაესხა თავს, მათგან ორი ქალი იყო. მათ ბუტიკიდან არანაკლებ 80 მილიონი ევროს სამკაულები გაიტაცეს.

პარიზის პოლიციის თანახმად, თავდამსხმელები ფრანგულად და კიდევ ერთ ენაზე საუბრობდნენ, მაღაზიას კარგად იცნობდნენ და ზოგიერთი თანამშრომლის სახელიც კი იცოდნენ.

ამ საქმესთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში 25 ადამიანი დააკავეს და დაკითხეს.

ჰარი უინსტონი პარიზის ერთ-ერთი ყველაზე მოდური ბუტიკია. მის კლიენტებს შორის არიან სამეფო ოჯახების წევრები და ჰოლივუდის ვარსკვლავები.

# საერთაშორისო

## კადაფი ალ კაიდას ადანაშაულებს

ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ ოთხშაბათს ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროპის ქვეყნების მთავრობებმა და ალ კაიდამ ლიბიელი ახალგაზრდები ანტისამთავრობო გამოსვლებისათვის „განაწყო“.

ლიბიის სახელმწიფო ტელევიზიამ თავისი მომხრეების წინაშე კადაფის გამოსვლის კადრები აჩვენა.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, კადაფის გამოსვლა ოპოზიციასთან რაიმე კომპრომისის ან მოლაპარაკებების არავითარ ნიშანს არ ატარებდა.



გარდა ამისა, ფრანგული ტელევიზიის ინტერვიუში კადაფიმ გამოსვლებს „კოლონიური სახელმწიფოების შეთქმულება“ უწოდა.

„ჩემს ხალხთან ბრძოლა არ შემიძლია. ეს სიცრუეა, რომელსაც კოლონიზატორი სახელმწიფოები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკელები ავრცელებენ“, — განაცხადა კადაფიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ლიბიის საჰაერო სივრცეში ფრენის აკრძალვასთან დაკავშირებით აშშ ცალხმრივი გადაწყვეტილებების მიღებას არ აპირებს და ასეთი გადაწყვეტილებები მხოლოდ გაეროს სანქციით შეიძლება იქნას მიღებული.

ლიბიის ავიაციის მიერ მეამბოხეების კონტროლს დაქვემდებარებული რაიონების დაბომბვა სამხედრო ჩარევისაკენ მორიგი მოწოდებების საბაბი გახდა.

ბოლო რამდენიმე დღეღამის განმავლობაში დაბომბვის სიზუსტე გაიზარდა. თურქული ტელეარხის ინტერვიუში მოამარ კადაფიმ განაცხადა, რომ ლიბიის თავზე ფრენების აკრძალვის შემთხვევაში ყველა ლიბიელი მიხვდება, რომ დასავლეთს სინამდვილეში ლიბიური ნავთობის ხელში ჩაგდება სურს და ამ შემთხვევაში ყველა იარაღს მოკიდებს ხელს და შეიარაღებულ ბრძოლას დაიწყებს.

სამთავრობო ჯარების მეამბოხეებთან შეიარაღებული შეტაკებების დაწყების შემდეგ ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 200 ათასზე მეტი ლტოლვილად იქცა.

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრინცმა ფაისალმა განაცხადა, რომ არაბული სახელმწიფოების ლიგამ ლიბიელების დაცვისა და სისხლისღვრის შეწყვეტის გზები უნდა განიხილოს.

ლიბიის დასავლეთით მდებარე ქალაქ ეზზავიადან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია ვრცელდება. სახელმწიფო ტელევიზიამ „გათავისუფლებული ქალაქიდან“ რეპორტაჟი აჩვენა. კადაფის ერთგული სამხედრო რეპორტაჟში აცხადებდა, რომ ქალაქი „100 თუ არა, 90 პროცენტით“ მათ კონტროლს ექვემდებარება.

სააგენტო რეიტერის ცნობით, ქალაქის მახლობლად დაძაბული ბრძოლების გამო მუშაობა შეაჩერა ნავთობგადამამუშავებელმა საწარმომ.

მანამდე გავრცელებული ცნობების თანახმად, მეამბოხეების კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქი საჰაერო დაბომბვების შედეგად სერიოზულად დაზიანდა.

მეამბოხეები ქალაქის მთავარ მოედანს ინარჩუნებენ, მაგრამ მათ სამთავრობო ჯარების ტანკები უახლოვდებიან. სახლის სახურავებზე ჩასაფრებული სნაიპერები ესვრიან ყველას, ვინს სახლიდან გამოსვლას გაბედავს.

მსოფლიო საზოგადოებრიობა კადაფის გადადგომას მოითხოვს. ეს მოთხოვნა კვლავ გაიმეორა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ კრიზისი შეიძლება გაჭიანურდეს.

კლინტონმა ასევე განაცხადა, რომ კადაფის რეჟიმზე ზემოქმედების ნებისმიერი ინიციატივა აშშ-სგან არ უნდა მოდიოდეს.

ეს ინიციატივა თავად ლიბიელი ხალხისაგან მოდის და აშშ მას მხოლოდ მხარს დაუჭერს, რადგან აშშ-ის ხელისუფლებს მიაჩნიათ, რომ ლიბიის ხალხს ამ მძიმე ბრძოლაში მხარდაჭერა სჭირდება.

სამშაბათს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება რომსა და კაიროში მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატებისა და ლიბიის ოპოზიციის ლიდერების შეხვედრების შესახებ.

ამ შეხვედრაში მონაწილეობდა აშშ-ის ყოფილი ელჩი ტრიპოლიში ჯინ კრეტცი. იგი იძულებული გახდა თავისი მისია შეეწყვიტა, რადგან „ვიქილიქსმა“ გამოაქვეყნა კრეტცის მიერ ვაშინგტონში გაგზავნილი შეტყობინება კადაფის პირადი ცხოვრებისა და უკრაინელ მედდასთან ურთიერთობის შესახებ.

## კაიროში ქრისტიანებისა და მუსლიმანების შეტაკებას მსხვერპლი მოჰყვა

კაიროში ქრისტიანი კოპტებისა და მუსლიმანების შეტაკებების შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა, ასამდე დაშავდა.

პოლიციამ ვერ შეძლო დაეზუსტებინა, თუ ვინ არიან დაღუპულები, ქრისტიანები თუ მუსლიმანები.

არეულობა კაიროში სამშაბათს ღამით დაიწყო, ქრისტიანი კოპტების დემონსტრაციის დროს, რომლებიც გასულ კვირას ჰელუანის პროვინციაში კოპტების ტაძრის დაწვასთან დაკავშირებით პროტესტს გამოთქვამდნენ.

რამდენიმე ათასი ადამიანი გაიძახოდა: „მარშალო, რატომ დუმხარ?“ ისინი ეგვიპტის შეიარაღებული ძალების უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელს, მოჰამედ ტანტაუის მიმართავდნენ, რომელიც მუბარაქის წასვლის შემდეგ ეგვიპტეს ხელმძღვანელობს.

საპროტესტო აქციის მონაწილე კოპტებმა ავტომაგისტრალი გადაკეტეს, რითაც ქუჩაზე გავლის მოსურნე მუსლიმანების უკმაყოფილება გამოიწვიეს. კოპტებმა და მუსლიმანებმა ერთმანეთს ქვების სროლა დაუწყეს, შემდეგ არეულობაში არმია ჩაერია. სამხედროებმა ჰაერში სროლა დაიწყეს და ბრბო გაფანტეს.



ქრისტიანი კოპტები ეგვიპტის 80-მილიონიანი მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ. ეგვიპტელი კოპტები შევიწროვებისა და დისკრიმინაციის გამო ჩივიან და აცხადებენ, რომ კოპტებზე თავდასხმები ან დაუსჯელი რჩება, ან დამნაშავეებს მეტად მსუბუქ სასჯელს უსჯიან.

ეგვიპტის ხელისუფლები კოპტების დისკრიმინაციის ბრალდებებს უარყოფენ.

ორი თვის წინ ალექსანდრიაში, კოპტური ტაძრის მახლობლად თვითმკვლელის მიერ განხორციელებული აფეთქების შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა.

მიმდინარე წლის იანვარში ეგვიპტის მოქალაქეს ქვეყნის სამხრეთით მუსლიმანი პოლიციელისა და ექვსი კოპტის მკვლელობისათვის სიკვდილი მიუსაჯეს.

## იერუსალიმის მუზეუმიდან შიშველი ბალზაკი მოიპარეს

იერუსალიმში, ისრაელის მუზეუმის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ მუზეუმის თანამშრომლებმა ცნობილი ფრანგი სკულპტორის, ოგიუსტ როდენის ქანდაკება „შიშველი ბალზაკი“ მოისაკლისეს.



ქანდაკება, რომელიც მკერდზე ხელებგადაჯვარედინებულ შიშველ ბალზაკს განასახიერებს, მოქანდაკის მიერ საზოგადოება „სოსიეტე დე გე დე ლეტრ დე ფრანსის“ შეკვეთით ჩამოსხმული ძეგლის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ეს ორგანიზაცია 1830 წელს ბალზაკმა ვიქტორ ჰიუგოსთან, ალექსანდრ დიუმასთან და ჟორჟ სანდთან ერთად დააარსა.

როდენი ქანდაკებას თავის ერთ-ერთ საუკეთესო პროექტად მიიჩნევდა, მაგრამ შემკვეთებმა უარი თქვეს მასზე და მიზეზად განაცხადეს, ქანდაკება ორიგინალს არ ჰგავსო.

ისრაელის მუზეუმში ქანდაკება ამერიკელი ებრაელის, შოუმენისა და პოეტის უილიამ როუზის (როზენბერგის კოლექციიდან მოხვდა) სახელობის პარკში იდგა.

რეკონსტრუქციის დროს ქანდაკება, ხელოვნების სხვა ნაწარმოებებთან ერთად გადააადგილეს და სამი თვის წინ მისი უკან დაბრუნება რომ დააპირეს, ველარ ნახეს. გაურკვეველია, თუ როდის დაიკარგა ქანდაკება, რადგან რეკონსტრუქცია საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ცხადია, რომ რომ მუზეუმიდან 1.3 მ სიმაღლისა და 61 სმ სიგანის ქანდაკების წასაღებად მძარცველებს ჯალამბარი და სატვირთო ავტომობილი დასჭირდებოდათ.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, სამართალდამცავი ორგანოების დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთში საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე, სხვადასხვა დროს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ყოფილი სამხედრო პროკურორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის I მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, იუსტიციის უმაღლესი სახელმწიფო მრჩეველი (იუსტიციის გენერალ-მაიორი), სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

**რუსლან თორდინავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

***აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო***



თბილისის 144-ე სკოლის დირექცია, პედკოლექტივი, მოსწავლეები, მშობლები, კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი პედაგოგის, უსაყვარლესი, ლამაზი ადამიანის

**მედეია გეგეჭკორის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ვენერა ხუფენია, შვილი ნოდარ გაგუა, რძალი ლეილა ჯომიდავა, შვილიშვილები ნინო და ანა გაგუები, და თათუშა გაგუა-ჯანაშია, ძმისშვილი სოსო (არსენ) გაგუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**იოსებ სიმონის ძე გაგუას**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 10, 11 მარტს.
დაკრძალვა: შაბათს, 12 მარტს, 15 საათზე.
მისამართი: თემქა, X კვარტალი, 35-ე კორპუსი, ბინა 49.

ზურა კაციტაძე, ილიკო თაყაიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიყრმის მეგობარი

**მედიკო გვიაძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.
უფალმა ნათელში ატაროს სული მისი.

ნანა სოხაძე, ანზორ მაისურაძე, ნუგზარ კალანდაძე, ბეგი ბაკურაძე, ქუჩი სხირტლაძე, გურამ გიორგაძე, იუზა გიორგაძე, ავთო სილაგაძე, მორის კუჭავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ახლო მეგობარი

**ბეგლარ მახარაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ანზორ და ავთანდილ ჯორბენაძეები თავიანთი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ღვაწლმოსილი პიროვნების

**გუბაზ გოგსაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 10 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ისტორია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტიბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ნოსტრადამუსი: **2012** წელი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. "**ფარი**" (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი "**რაინდის ამბავი**" (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. "**ზნედაცემული**" **01.00** მხ. ფ. "**ანაკონდა**" (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** დოკ. ფილმი **15.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **16.00** სერ. "**სიყვარულის საიდუმლო**" **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მორჩენება**" **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი "**ზღვარზე**" (18) (ხ. ფენიქსი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ."**ორნახევარი კაცი**" **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**ბოშები**" **13.00** სერ."**ლობას საიდუმლო**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.45** სერ."**ლობას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.30** მხ. ფილმი "**ევროტური**" (15) (სუბტ.) **01.45** მხ. ფილმი "**წყალქვეშა საპყრობილე**" (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) **03.30** მხ. ფილმი "**კრისტი**" (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.30** სერ. "**მომიყევი ერთი ამბავი**" **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**ოქროს კერპი**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** ანდრია კრიტელის კანონი **12.30** დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-4ნ. **13.40** კონცერტი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** დოკ. ფილმი "შორეულთა სიახლოვე" **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "ლადო ასათიანი" **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** დოკ. ფილმი "გზა" 1-ლი ნ. **20.00** ანდრია კრიტელის კანონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **22.20, 23.15** დოკ. ფილმი "რწმენის აღორძინება" **23.00** საღამოს ლოცვა **23.30** დიდმარხვის პირველი კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **00.35** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

## საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 10 მარტს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,7188

ევრო —2,4098

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8046

რუსული რუბლი — 0,061

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ამინდის პროგნოზი 10 მარტისთვის

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5-19, ღამით — 2-4

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12-1§, ღამით — 5-7

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 1-3, ღამით — -§-1

სოხუმი 11-12 ზუგდიდი 14-15 ქუთაისი 16-1§ ბათუმი 12-13 გორი 8-19 თბილისი 5-6 8-19 გურჯაანი


ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

### უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


# „მაქაბიმ" დვალიშვილი 1,5 მილიონად არ გაყიდა

**ბოლოდ დროს ისრაელის გუნდებმა ისეთი ტრანსფერები განახორციელეს, ქართველი ფეხბურთელის, ბესიკ დვალიშვილის იქ გადასვლა არავისთვის გასაკვირი არ იქნებოდა. თუმცა, საინტერესო ის არის, რომ დვალიშვილის კლუბმა, ჰაიფას „მაქაბიმ" სამარის „კრილია სოვეტოვს" მილიონ-ნახევარ დოლარზე უარი უთხრა ქართველი ფეხბურთელის მიყიდვაზე.**

ამ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს და ჰაიფური კლუბის პრეზიდენტის, იაკობ შაჰარის სიტყვებიც მოჰყავს, რომელიც ღიად აცხადებს, რომ სეზონის დამთავრებამდე არც ერთი წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს.

24 წლის დვალიშვილმა მიმდინარე სეზონში მაქაბელთა შემადგენლობაში 19 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა, რომელთა უმეტესობა ახალი წლის შემდეგ გაიტანა და როგორც კლუბის სამწვრთნელო შტაბი აცხადებს შესანიშნავ ფორმაშია. თავად „მაქაბი" კი 25 ტურის შემდეგ ისრაელის ჩემპიონატს ლიდერობს და უახლოეს კონკურენტს 2 ქულით უსწრებს. სწორედ ამიტომ არის მონდომებული ჰაიფური კლუბის ხელმძღვანელობა, უარი თქვას წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებაზე.

შეგახსენებთ, დვალიშვილი 2009 წლის ზაფხულში გადავიდა ჰაიფას „მაქაბიში" და 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, ანუ, დვალიშვილისა და ებრაული კლუბის თანამშრომლობა 2012 წლის ზაფხულამდეა გათვალისწინებული. თუმცა, როგორც ჩანს, სეზონის ბოლოს მისი გასხვისება მოსალოდნელია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

***

— ერთმა ბერიკაცმა, ქარხნის, მაღაზიის, რესტორნის, ბოლო მოდელის ჯიპის, ქალაქის ცენტრში ფეშენებელური ბინის, აგარაკის მფლობელმა მუდმივი წუწუნით „ალბათ მალე მოვკვდებიო" ორი ჯვარდაწერილი და თორმეტი სამოქალაქო ცოლის მოტყუება შეძლო...

***

— კისერზე ჯდომა თუ გიყვარს, ფეხები უნდა გაშალო...

— პავიანს წითელი უკანალი აქვს, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რევოლუციურად არის განწყობილი...

***

— ქალიშვილო, ასეთი ხასიათის პატრონს მეტი სილამაზე გმართებთ!..

***

— ის არ მეყო, რომ ჩემი მეზობელი გუშინ დაბადების დღეს დილის ოთხ საათამდე აღნიშნავდა. დღეს გაირკვა, რომ ვიღაც იდიოტს ბურღიც უჩუქებია...

***

— გუშინ ჩემი პატარა ძამიკო მოიყვანეს, ისეთი კარგია, ისეთი საყვარელი... მაგრამ უკვე ჩემი კომპიუტერისაკენ აცეცებს თვალებს...


# მალე! მალე! მალე!

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

## გთავაზობთ

# სუპერპროექტს

# ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 1

განდი


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 2. თავის ქალას ზედა ნაწილი; 3. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 4. რწმენა, მსოფლმხედველობა; 5. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 9. ტბა სომხეთში; 12. ფერადი მინის დასამზადებლად გამოყენებული ქიმიური ელემენტი, ლითონი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 15. მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი; 17. მდინარე დელიში; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 7. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის კურსის დადგენა ბირჟაზე; 8. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 10. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 11. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 13. მსოფლიოში მოპოვებული ყველაზე დიდი თვითნაბადი ალმასი; 16. პატარა ერთბინიანი, მანსარდიანი სახლი; 19. მოხეტიალე მუსიკოსი გერმანიაში ძველად; 20. ბუნებრივი წყალვარდნილი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ასტროპროგნოზი 10 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **კურო** — დღეს ნუ ენდობით უცხო პირებს. **ტყუპები** — არ გარისკოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — საღამოს კარგი ახალი ამბავი გელით. **ლომი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა მოგიწევთ, გადაიხალისეთ გარდერობი. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **მშვილდოსანი** — ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია არ მოდუნდეთ. **თხის რქა** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მერწყული** — კონფლიქტური დღეა, მშვიდად იყავით. **თევზები** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!